186
1988

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISSN—0132—4241

50
186

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 1

იანვარი — თებერვალი

1988 წ.

1/1

ბოს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

14 950

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 1 იანვარი—თებერვალი 1988 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

1. „მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმების უზრუნველყოფის, შრომითი მოწყობის სისტემის სრულყოფისა და მშრომელთათვის სოციალური გარანტიების გაძლიერების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილების რეალიზაციის ღონისძიებათა თაობაზე.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

2. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 3 ივნისის № 329 დადგენილების ნაწილობრივ ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
3. თბილისის აგროსამრეწველო კომიტეტის შექმნის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

4. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 1 დეკემბრის № 1367 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლი შესახებ.

საქ. სსრ კ.

№ 1
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

5. მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში საწარმოებისა და გაერთიანებების მიერ თვიურ საგეგმო დავალებათა შესრულების უზრუნველსაყოფად მუშაობის ორგანიზაციის ფორმებისა და მეთოდების შესახებ.
6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რეგლამენტში ნაწილობრივ ცვლილებათა შეტანის შესახებ.
7. ხელით სამართავი ავტომობილებითა და მოტოეტლებით ინვალიდების უზრუნველყოფის წესის ინსტრუქციაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.
8. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 10 ნოემბრის № 1268 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
9. „სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ“ სსრ კავშირის კანონთან და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 6 იანვრის № 15 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის ცალკეულ გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის თაობაზე.
10. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 18 ნოემბრის № 1301 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
11. პროფესორ ს. ზ. ქურდიანის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ.
12. საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის რ. რ. დვალი სახელობის სტიპენდიის დაწესების შესახებ.
13. საქართველოს სს რესპუბლიკაში კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის მოსაწყობად მიწის ნაკვეთების შერჩევისა და გამოყოფის წესის თაობაზე დებულების დამტკიცების, აგრეთვე ქალაქ თბილისის მოსახლეობისათვის ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის განსახორციელებლად მიწის ნაკვეთების გამოყოფისა და საქართველოს სსრ მებაღეობის ამხანაობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების შესახებ.
14. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 1 დეკემბრის № 1367 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლისა და შეცვლის შესახებ.
15. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 26 ნოემბრის № 1330 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების შეცვლისა და ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
16. გუდაურის სამთო-გამამდიდრებელი კომპლექსის დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ.
17. აგროსამრეწველო კომბინატ „გარდაბნის“ შექმნის შესახებ.
18. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 31 ოქტომბრის № 1230 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

19. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 25 აპრილის № 302 დადგენილების დამატების შესახებ.
20. საქართველოს სსრ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციის დებულებაში და მათი რეგისტრაციის, აღრიცხვისა და ტექნიკური ზედამხედველობის წესებში ცვლილებათა შეტანის შესახებ.
21. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 26 ოქტომბრის № 1202 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლისა და შეცვლის შესახებ.
22. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 25 იანვრის № 43 დადგენილებაში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანის შესახებ.
23. გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯის № 2 ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლისათვის ი. ტ. ყოლბაიას სახელის მიკუთვნების შესახებ.
24. გულრიფშის რაიონის სოფელ ვარჩის ზოგდსაგანმანათლებლო საშუალო სკოლისათვის ი. უ. შელიას სახელის მიკუთვნების შესახებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

1 „მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმების უზრუნველყოფის, შრომითი მოწყობის სისტემის სრულყოფისა და მშრომელთათვის სოციალური გარანტიების გაძლიერების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილების რეალიზაციის ღონისძიებათა თაობაზე

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო აღნიშნავენ, რომ რესპუბლიკაში მიმდინარეობს მუშაობა შრომითი რესურსების მართვის ტერიტორიული სისტემების შესაქმნელად, გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები შრომითი მოწყობის ერთიანი რესპუბლიკური სისტემის ორგანიზაციისათვის. ამჟამად ფუნქციონირებს მოსახლეობის შრომითი მოწყობის 22 საქალაქო და რაიონული სამეურნეოანგარიშიანი ბიურო და მათი მუშაობის მაკოორდინირებელი შრომითი მოწყობის რესპუბლიკური ბიურო. საქართველოს სსრ შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის საინფორმაციო-გამოთვლითი სამეურნეოანგარიშიანი ცენტრი ამუშავებს და ნერგავს ქ. თბილისში, ფოთში, ქუთაისში, რუსთავში შრომითი მოწყობისა და შრომითი რესურსების მართვის ავტომატიზებულ საინფორმაციო სისტემებს. შემუშავებულია და ინერგება რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში დაუსაქმებელი მოსახლეობის ოპერატიული გამოვლენის, აღრიცხვისა და შრომითი მოწყობის სისტემა. მიმდინარეობს მუშაობა შრომითი რესურსების შესახებ მონაცემთა ბანკების შესაქმნელად.

ამ მიმართულებით გაწეული მუშაობის მარაგნამეტი, მეთოდური გამოცდილება და პროგრამული უზრუნველყოფა რესპუბლიკაში შრომითი მოწყობის ეფექტიანი სისტემის შექმნის საიმედო საფუძველია. მაგრამ არსებული დადებითი გამოცდილების რეალიზაცია და გავრცელება დაუშვებლად ნელა მიმდინარეობს. ბევრი ქალაქისა და რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანოები არ იჩენენ ჯეროვან დაინტერესებას მოსახლეობის რაციონალური დასაქმების უზრუნველყოფის საკითხებში. არ იქმნება შრომითი მოწყობის სამსახურებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მოუგვარებელია საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ შრომითი მოწყობის ბიუროებში დადგენილი წესით თავისუფალი სამუშაო ადგილებისა და ვაკან-

ტური თანამდებობების შესახებ ცნობების და სხვა საჭირო ინფორმაციის წარდგენა. ძალზე არადამაკმაყოფილებლად წყდება ეს საკითხები ქალაქ თბილისში, სადაც ფაქტიურად არ ამოქმედებულა მოსახლეობის შრომითი მოწყობის დამუშავებული და აპრობირებული ავტომატიზებული საინფორმაციო სისტემა.

რესპუბლიკის ეკონომიკის ინტენსიფიკაცია, მისი გადაყვანა მეურნეობის გაძღოლის ახალ მეთოდებზე, სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების, შრომის ანაზღაურების ახალი პირობების შემოღება, სამინისტროთა და უწყებათა ორგანიზაციული სტრუქტურების გარდაქმნა გამოიწვევს მნიშვნელოვანი რაოდენობის მუშაკთა გამოთავისუფლებას მატერიალური წარმოების სფეროდან და მმართველობის აპარატიდან. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს გამოთავისუფლებულ მუშაკთა შრომითი მოწყობისა და მათთვის კონსტიტუციით გარანტირებული შრომის უფლების უზრუნველყოფის საკითხი. უახლოეს ხანში ეს საკითხი განსაკუთრებით მწვავე გახდება ქალაქ თბილისში აქ თავმოყრილ სამინისტროთა და უწყებათა აპარატების რეორგანიზაციის გამო.

განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ რა მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმების უზრუნველყოფას, შრომითი მოწყობის სისტემის სრულყოფასა და მშრომელთათვის სოციალური გარანტიების რეალიზაციას, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, პროფკავშირთა რესპუბლიკურმა კომიტეტებმა მიიღონ სახელმძღვანელოდ და განუხრელ შესასრულებლად სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1987 წლის 22 დეკემბრის № 1457 დადგენილება „მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმების უზრუნველყოფის, შრომითი მოწყობის სისტემის სრულყოფისა და მშრომელთათვის სოციალური გარანტიების გაძლიერების შესახებ“ (თან ერთვის).

ამ მიზნით:

— განახორციელონ ორგანიზაციულ, სოციალურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ ღონისძიებათა კომპლექსი, რომელთა მიზანია შრომითი რესურსების გამოყენების ძირეული გაუმჯობესება, სახალხო მეურნეობის დარგებში მათი ეფექტიანი დასაქმების უზრუნველყოფა და მოსახლეობის შრომითი მოწყობის სისტემის სრულყოფა, ამასთან იხელმძღვანელონ სკკპ XXVII ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის მითითებებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმისა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებით ეკონომიკის მართვის გარდაქმნის შესახებ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მუშაკთა გამოყენებასთან, ხელახლა სწავლებასთან და შრომით მოწყობასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტას შრომის კანონმდებლობისა და სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის ზუსტი შესაბამისობით, დემოკრატიულ საფუძველზე, ფართო საჯაროობის ვითარებაში, შრომითი კოლექტივების უშუალო და აქტიური მონაწილეობით, უზრუნველყონ მოქალაქეთა შრომის კონსტიტუციური უფლებისა და კანონმდებლობით მშრომელთათვის გათვალისწინებული სოციალური გარანტიების განუხრელი რეალიზაცია.

იმის გათვალისწინებით, რომ მოსახლეობის შრომითი მოწყობის, ხელახლა სწავლებისა და პროფორიენტაციის საერთო-სახელმწიფოებრივი სისტემის შესაქმნელად 1988 წელს აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, რესპუბლიკის დიდ და საშუალო ქალაქებში შეიქმნება მოსახლეობის შრომითი მოწყობის, ხელახლა სწავლებისა და პროფორიენტაციის სამეურნეოანგარიშიანი ცენტრები, ხოლო ყველა დანარჩენ ქალაქსა და რაიონში — მოსახლეობის შრომითი მოწყობის სამეურნეოანგარიშიანი ბიუროები, ყოველდღიური კონტროლი გაუწიონ ამ სამსახურების ორგანიზაციასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტას, კერძოდ, მათთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას, შესაბამის სპეციალობათა კვალიფიციური კადრების შერჩევას, ამ სამსახურების საქმიანი ურთიერთობის დამყარებას მოცემულ ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოებთან, ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან.

განახორციელონ დაუსაქმებელი შრომისუნარიანი მოსახლეობის ოპერატიული გამოვლენის, აღრიცხვისა და შრომითი მოწყობის სისტემის დანერგვისათვის საჭირო ორგანიზაციული ღონისძიებანი.

2. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა:

— დაგეგმონ და მიზანდასახულად განახორციელონ ღონისძიებანი თავიანთ ტერიტორიაზე სამუშაო ადგილებისა და მუშახელის დაბალანსების მისაღწევად, თავიანთი მეცადინეობა მოახმარონ საწარმოო და არასაწარმოო სფეროების კომპლექსურ განვითარებას უმთავრესად მოსახლეობის მომსახურების მნიშვნელოვანი გაუმჯობესების ხარჯზე. გააქტიურონ მუშაობა კოოპერატივების შესაქმნელად საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების, სახალხო მოხმარების საქონლის, ადგილობრივი მასალებისაგან ნაკეთობათა წარმოების, მეორეული ნედლეულის დამზადებისა და გადამუშავების სფეროში, ხელი შეუწყონ ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის განვითარებას;

— დაგეგმონ ცენტრებისათვის (ბიუროებისათვის) საჭირო კომპიუტერული და გამოთვლითი ტექნიკის შეძენა, აგრეთვე შრომითი რესურსების მართვის სისტემის შემუშავება და დანერგვა საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ ადგილობრივ ბიუჯეტებში შეტანილი შრომითი რესურსებისათვის გადასახდელის ანარიცხებისაგან წარმოქმნილი სახსრების ხარჯზე.

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინოს საქართველოს სსრ შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტისათვის 1988-1990 წლებში გამოთვლითი ტექნიკის გამოყოფა დასაბუთებული განაცხადების თანახმად.

4. საქართველოს სსრ შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა შეიმუშაოს შრომითი რესურსების მართვის საერთო-რესპუბლიკური სისტემა, ხოლო საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინონ, მოყოლებული 1988 წლიდან, ზემოაღნიშნული კომიტეტისათვის — შესაბამისად — საჭირო სახსრებისა და ხელფასის ფონდის გამოყოფა.

5. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულმა საკავშირო დაქვემდებარების დარგების გაერთიანებებმა და საწარმოებმა განსაზღვრონ და დააპროგნოზონ გამოსათავისუფლებელ მუშაკთა რაოდენობა და პროფესიულ-კვალიფიკაციური შემადგენლობა, ღრმად მოიფიქრონ და დასახონ მათი შრომითი მოწყობის გზები, მოაწყონ მათი მომზადება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება.

გააძლიერონ სამეურნეო ხელმძღვანელთა და შრომითი კოლექტივების პასუხისმგებლობა გამოთავისუფლებული მუშაკების, უწინარეს ყოვლისა, საწარმოს შიგნით შრომითი მოწყობის უზრუნველსაყოფად მრავალცვლიანი მუშაობის რეჟიმის შემოღებად, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გასაფართოებლად, როგორც თვით საწარმოს მუშაკებისათვის, ისევე ადგილობრივი მოსახლეობისათვის მომსახურების გასაფართოებლად, სამეურნეო წესით საცხოვრებლისა და სოციალურ-კულტურული დანიშნულების სხვა ობიექტების მშენებლობის განსახორციელებლად.

6. სამინისტროთა, უწყებათა და მართვის სხვა ორგანოთა სტრუქტურების გარდაქმნასთან დაკავშირებით ქალაქ თბილისში გამოთავისუფლებულ მუშაკთა შრომითი მოწყობისა და გადანაწილების განსაკუთრებული სირთულის გათვალისწინებით რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა:

— უზრუნველყონ კვალიფიციური კადრებით პირველ რიგში ახალშექმნილი სახელმწიფო საწარმოო გაერთიანებები, აგრეთვე მოქმედი სამეცნიერო-საწარმოო და საწარმოო გაერთიანებები, საწარმოები, რომლებიც განლაგებულია ქალაქ თბილისში;

— გაგზავნონ გამოთავისუფლებული მუშაკები, მათი თანხმობით, რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და რაიონების საწარმოთა და ორგანიზაციათა განსამტკიცებლად;

— მმართველობის აპარატებიდან მუშაკთა გამოთავისუფლების დაწყებამდე ორი თვით ადრე წარუდგინონ საქართველოს სსრ შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს იმ გამოსათავისუფლებელთა პერსონალური სიები, რომლებიც ექვემდებარებიან შრომითს მოწყობას სამუშაო ადგილის დროულად შერჩევისა და მათი ხელახლა სწავლების ორგანიზაციის საკითხთა გადაწყვეტის მიზნით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ და თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად განიხილონ საკითხი 1988-1990 წლებში ქალაქ თბილისში განლაგებულ საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთა გაგზავნის შეზღუდვის შესაძლებლობის შესახებ.

7. საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტმა და თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა:

— ყოველმხრივ შეუწყონ ხელი კოოპერატივების, როგორც გამოთავისუფლებულ სპეციალისტთა შრომის გამოყენების ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი წყაროს, განვითარებას, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ საშუამავლო, დანერგვითი, მომსახურე და სხვა კოოპერატივების განვითარებას;

— საქართველოს სსრ შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან ერთად უახლოეს ხანში უზრუნველყონ მოსახლეობის შრომითი მოწყობის საქალაქო ავტომატიზებული საინფორმაციო სისტემის დანერგვა. ამ მიზნით ერთი თვის ვადაში გამოყონ სადგომი ერთ-ერთ ახალაშენებულ სახლში თბილისის მოსახლეობის შრომითი მოწყობის ბიუროსათვის, რომელიც დააკმაყოფილებს გამოთვლითი ტექნიკის საშუალებათა დადგმის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს საკმარის გამტარუნარიანობას;

— გამოთავისუფლებულ მუშაკთა შრომით მოწყობასთან დაკავშირებული საკითხების ოპერატიულად გადაწყვეტისათვის შექმნან თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომთან კომისია აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ი. ო. ანდრიაძის თავმჯდომარეობით საქართველოს სსრ შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელობის მონაწილეობით.

8. საქართველოს სსრ შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა განახორციელოს მოსახლეობის შრომითი მოწყობის რესპუბლიკური სისტემის შექმნისათვის მუშაობის კოორდინაცია, გაუწიოს საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს საჭირო მეთოდიკური დახმარება.

* *
*

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო გამოთქვამენ რწმენას, რომ შრომითი კოლექტივები, პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოები, შრომისა და სოციალურ საკითხთა ორგანოები ყოველ ღონეს იხმარენ იმისათვის, რათა დასახული ღონისძიებანი განხორციელდეს ორგანიზებულად, მოქალაქეთა კონსტიტუციური

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფლებების სრული გარანტიით, ხელს შეუწყობენ მშრომელთა შრომითი და სოციალური აქტიურობის ამაღლებას.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე	საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე
ჯ. პატიაშვილი	**ო. ჩერქეზია**	**ვ. სირაძე**

ქ. თბილისი, 1988 წ. 26 იანვარი, № 46

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭო

დადგენილება № 1457

1987 წლის 22 დეკემბერი

მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმების უზრუნველყოფის, შრომითი მოწყობის სისტემის სრულყოფისა და მშრომელთათვის სოციალური გარანტიების გაძლიერების შესახებ

საბჭოთა კავშირში შრომის უფლება ხალხის უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი და სოციალიზმის უდავო უპირატესობაა. თითოეულ მოქალაქეს გარანტირებული აქვს სამუშაო პროფესიული მომზადების, განათლების, მოწოდების, ინდივიდუალური უნარის შესაბამისად. ამავე დროს გათვალისწინებულია სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებებიც.

პარტია და სახელმწიფო დღენიადაგ ზრუნავენ შრომითი რესურსების ეფექტიანი გამოყენებისათვის, მუშათა, კოლმეურნეთა, ინტელიგენციის კეთილსინდისიერი და შემოქმედებითი შრომის როლისა და ავტორიტეტის ამაღლებისათვის. ამასთან განუყოფელად არის დაკავშირებული ჩვენი საზოგადოების დიდი პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური მიღწევები, ადამიანთა ახალი ცხოვრების წესის დამკვიდრება.

განსხვავებით კაპიტალიზმისაგან, რომელსაც სჩვეია მუდმივი უმუშევრობა, სოციალიზმი რეალურად უზრუნველყოფს მოსახლეობის სრულ დასაქმებას, შრომის გამოყენების, ნიჭისა და უნარის გაფურჩქვნის განუსაზღვრელ შესაძლებლობებს ანიჭებს თითოეულ მშრომელს. საბჭოთა კანონები საიმედოდ იცავენ მოქალაქეთა შრომის, განათლების უფლებებს, უფრთხილდებიან და განამტკიცებენ მათს სოციალურ გარანტიებს.

ქვეყანაში შეიქმნა უდიდესი საწარმოო პოტენციალი. ფართო მასშტაბით მიმდინარეობს საწარმოთა რეკონსტრუქცია და ტექნიკური კვლავაღჭურვა, ობიექტების მშენებლობა, განსაკუთრებით ახალი სამეურნეო ათვისების რაიონებში. სწრაფი ტემპით ვითარდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განმსაზღვრელი დარგები. ამავე დროს მსხვილმასშტაბური ამოცანები წყდება არასაწარმოო სფეროში. თვისებრივად ახალ დონეზე უნდა ავიდეს მეცნიერება, კულტურა, განათლება, ჯანმრთელობის დაცვა, რაც მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაჩქარებულ განვითარებას მოითხოვს. ეს პროგრესული კულტუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რული ძვრები სახალხო მეურნეობაში იწვევენ შრომითი რესურსების გამოყენების ძირეული გაუმჯობესების, ეკონომიკის დარგებსა და სფეროებს, რეგიონებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის მათი გადანაწილების, კადრების კვალიფიკაციის განუწყვეტელი ამაღლების ობიექტურ აუცილებლობას.

ამასთანავე ქვეყანაში არსებული შრომითი რესურსები და საწარმოო აპარატი ჯერ კიდევ ეფექტიანად არ არის გამოყენებული. ბევრი საწარმო ერთ ცვლად მუშაობს. სახალხო მეურნეობა მნიშვნელოვან დანაკარგებს განიცდის წარმოების არარიტმულობის, შრომის ორგანიზაციაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების, ძირითადი საქმიანობისაგან მუშაკთა სხვადასხვაგვარი მოწყვეტის გამო. ეს იწვევს საწარმოებში ზედმეტი რიცხოვნობის შენახვას, აფერხებს შრომის ნაყოფიერების ზრდას და წარმოშობს კადრების ხელოვნურ დეფიციტს. ქვეყნის ეკონომიკაზე უარყოფითად მოქმედებს აგრეთვე მუშამოსამსახურეთა შრომითს საქმიანობაში დიდი წყვეტილობანი, რაც დაკავშირებულია მათი სამუშაო ადგილის შეცვლასთან.

პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და პროფკავშირული ორგანოები საკმარისად არ მუშაობენ შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების საკითხებზე. ამ საქმეში სუსტ როლს ასრულებენ შრომისა და სოციალურ საკითხთა ორგანოები. ბევრ ქალაქსა და რაიონში დღემდე არ არის შექმნილი შრომითი მოწყობის სამსახური. არადამაკმაყოფილებელია მოსახლეობის პროფორიენტაცია, მისი ინფორმაცია თავისუფალი სამუშაო ადგილებისა და ვაკანტური თანამდებობების შესახებ. ხშირად მშრომელები სიძნელეებს განიცდიან სამუშაო ადგილის შერჩევის მხრივ.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, ინტენსიურ ეკონომიკაზე გადასვლა, სახალხო მეურნეობის მართვის რადიკალური რეფორმა, სამინისტროთა, უწყებათა, გაერთიანებათა და საწარმოთა ორგანიზაციული სტრუქტურების სრულყოფა მაღალ მოთხოვნებს უყენებს მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმების უზრუნველყოფასა და გამოთავისუფლებულ მუშაკთა შრომითი მოწყობის სისტემის სრულყოფას. ყველა მშრომელი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მათი შრომის უფლება რეალურად გარანტირებულია. ამავე დროს თითოეული მუშა, სპეციალისტი და მოსამსახურე მოვალეა იშრომოს ნამდვილად, მთელი ძალ-ღონით, გაუფრთხილდეს თავის სამუშაოს, დღენიადაგ დამკვიდრდეს კოლექტივში კეთილსინდისიერი, მაღალნაყოფიერი შრომით, აიმაღლოს კვალიფიკაცია და პროფესიული ოსტატობა, დააფასოს სახელმწიფოს მიერ მინიჭებული სოციალური გარანტიები. კარგი მუშაობა ნორმა უნდა გახდეს თითოეული საბჭოთა მშრომელისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ ამოცანად ჩაითვალოს სსრ კავშირის კონსტიტუციით გარანტირებული მოქალაქეთა შრომის უფლების განუხრელი რეალიზაცია, როგორც აქტიური სოციალური პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იხელმძღვანელონ რა პარტიის XXVII ყრილობის მითითებებით, ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრისა და ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებებით ეკონომიკის მართვის გარდაქმნის შესახებ, უზრუნველყონ მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმება სახალხო მეურნეობის ყველა დარგსა და ქვეყნის რეგიონში, განუწყვეტლივ სრულყონ შრომითი მოწყობის სისტემა, გააფართოონ სოციალური გარანტიები საწარმო-ორგანიზაციებიდან და დაწესებულებებიდან გამოთავისუფლებული მუშაკებისათვის.

2. პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანოებმა განახორციელონ ორგანიზაციულ, სოციალურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ ღონისძიებათა კომპლექსი, რომელთა მიზანია შრომითი რესურსების გამოყენების კარდინალური გაუმჯობესება, მოსახლეობის შრომითი მოწყობის, ხელახლა სწავლებისა და პროფორიენტაციის მთლიანი საერთო-სახელმწიფოებრივი სისტემის შექმნა.

გადაწყვიტონ მუშაკთა გამოთავისუფლებასთან, ხელახლა სწავლებასთან და შრომით მოწყობასთან დაკავშირებული საკითხები შრომის კანონმდებლობისა და სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის ზუსტი შესაბამისობით, დემოკრატიულ საფუძველზე, ფართო საჯაროობის ვითარებაში, შრომითი კოლექტივების უშუალო და აქტიური მონაწილეობით. ყურადღებით მოეკიდონ გამოთავისუფლებულ მუშაკებს, განსაკუთრებით ქალებსა და ახლგაზრდებს, ყოველმხრივ გაითვალისწინონ მშრომელთა სხვადასხვა კატეგორიის ინტერესები.

I. შრომისუნარიანი მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმების უზრუნველყოფის შესახებ

3. გაერთიანებათა და საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა უზრუნველყონ ყველა მუშაკის მაღალნაყოფიერი შრომისათვის საჭირო პირობები, მიაღწიონ წარმოებაში წესრიგის განმტკიცებას, გააძლიერონ მომთხოვნელობა შრომის დისციპლინის დამრღვევების, უსაქმურებისა და ფრენიების მიმართ, დაამკვიდრონ შრომის, საზოგადოებრივი მოვალეობისადმი არაკეთილსინდისიერ დამოკიდებულებასთან კოლექტივის შეურიგებლობის ატმოსფერო. აამაღლონ ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა ატესტაციის როლი მათი შრომის ხარისხის შეფასებისას.

სამუშაო ადგილების ატესტაციისა და რაციონალიზაციის გათვალისწინებით ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელებისა და ამასთან დაკავშირებით მუშაკთა გამოთავისუფლების მსვლელობაში უზრუნველყონ მათი შრომითი მოწყობა, უწინარეს ყოვლისა, საწარმოს შიგნით, მიაღწიონ სახალხო მეურნეობისათვის საჭირო მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების გადიდებას, შექმნილი საწარმოო პოტენციალის ეფექტიან გამოყენებას მოწყობილობის, პირველ რიგში უნიკალური და ძვირადღირებული მოწყობილობის, მუშაობის მრავალცვლიანი რეჟიმის შემოღების საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ახალასამოქმედებელ ობიექტების კადრებით დროულად დაკომპლექტებას. გადაიყვანონ გამოთავისუფლებული მუშაკები იმ ქვედანაყოფებში, რომლებიც ახორციელებენ წარმოების რეკონსტრუქციისა და ტექნიკური კვლავაღჭურვის, საცხოვრებლისა და სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების მშენებლობის სამუშაოებს სამეურნეო წესით.

ამ მუშაობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებად მიიჩნიონ გამოთავისუფლებულ მუშაკთა შრომის აქტიური გამოყენება სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გასაადიდებლად, მოცემული საწარმოს მუშაკებისა და მოსახლეობის ფასიანი მომსახურების გასაფართოებლად, დამხმარე სასოფლო მეურნეობათა განსავითარებლად.

გააფართოონ ბავშვიანი ქალებისა და შეზღუდული შრომისუნარიანობის პირთა მუშაობის შესაძლებლობანი, მათი სურვილისამებრ, არასრული სამუშაო დღის (კვირის) პირობებში, აგრეთვე მოქნილი გრაფიკის მიხედვით ან შინ.

განახორციელონ გამოთავისუფლებულ მუშაკთა მომზადება-გადამზადება საჭირო პროფესიებსა და სპეციალობებში საკუთარ სასწავლო-საკურსო ბაზაზე ან პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებთან, უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებთან, აგრეთვე გაერთიანებებთან, საწარმოებთან და ორგანიზაციებთან დადებულ ხელშეკრულებათა მიხედვით.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და წარმოების ინტენსიფიკაციის პირობებში კადრების პროფესიული მომზადებისადმი გადიდებული მოთხოვნების გათვალისწინებით ნება დაერთოთ გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს გამოიყენონ უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტები, მათი თანხმობით, მუშებად ცალკეულ ყველაზე რთულ, უნიკალურ და პასუხსაგებ სახეობათა სამუშაოებზე, რომლებიც მაღალ კვალიფიკაციასა და სპეციალურ მომზადებას მოითხოვენ.

4. საჭიროდ ჩაითვალოს ამაღლდეს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების, შრომისა და სოციალურ საკითხთა ორგანოების, პროფესიულ კავშირთა საბჭოების როლი მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმების უზრუნველყოფაში. საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა შრომით კოლექტივებთან მათს უნარიან და ოპერატიულ მუშაობაზე მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული გამოთავისუფლებულ მუშაკთა დროული შრომითი მოწყობა, მათი პროფესიული ორიენტაცია და ხელახლა სწავლება, აგრეთვე სამუშაო ადგილების დაბალანსება მუშახელთან ქალაქში, რაიონში.

ამ მიზნით სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა:

მაქსიმალურად გამოიყენონ არსებული შრომითი რესურსები საწარმოო სფეროს დარგთა კომპლექსური განვითარებისათვის, ძირითადი ფონდებისა და კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის ამაღლებისათვის;

განამტკიცონ და გააფართოონ მოსახლეობის მომსახურების სფერო, განახორციელონ გამოთავისუფლებულ მუშაკთა გეგმაზომიერი და მიზანდასახული გადანაწილება ამ სფეროს საწარმოებსა და ორგანიზაციებში, ამასთან უზრუნველყონ მისი დაჩქარებული განვითარება, აგრეთვე საცხოვრებელზე, ფა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიან მომსახურებაზე, სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის ძირითადი ხოვნილებათა რაც შეიძლება სრული დაკმაყოფილება. თანამიმდევრულად მიაღწიონ სახალხო მეურნეობის განვითარებაში არასაწარმოო დარგების წვლილის გადიდებას.

განსაკუთრებულ შემთხვევებში, გამოთავისუფლებულ მუშაკთა უფრო ორგანიზებული შრომითი მოწყობის მიზნით სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს შეუძლიათ გადაიტანონ შრომითი კოლექტივების თანხმობით საწარმოებიდან, ორგანიზაციებიდან და დაწესებულებებიდან მუშაკთა გამოთავისუფლების ვადები.

5. საწარმოებიდან, ორგანიზაციებიდან და დაწესებულებებიდან გამოთავისუფლებულ მუშაკთა შრომის გამოყენების ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან მიმართულებად ჩაითვალოს მათი ჩაბმა კოოპერატივებში, აგრეთვე ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის ხელშეწყობა.

სამინისტროებმა, უწყებებმა, სამეურნეო ხელმძღვანელებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ საწარმოებთან, ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მოსახლეობისათვის სხვადასხვაგვარი მომსახურების გაწევის კოოპერატივების შექმნას. ყოველმხრივ შეუწყონ ხელი მათს განვითარებას, გამოუყონ კოოპერატივებს დადგენილი წესით სადგომები, მოწყობილობა, ტრანსპორტი, ნედლეული და მასალები.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა, საქონელსა და მომსახურებაზე კონკრეტული მოთხოვნილებებიდან და რეგიონში დაუსაქმებელი მოსახლეობის არსებობიდან გამომდინარე, გააქტიურონ მუშაობა კოოპერატივების შესაქმნელად საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების, სახალხო მოხმარების საქონლის, ადგილობრივი მასალებისაგან ნაკეთობათა წარმოების, მეორეული ნედლეულის დამზადებისა და გადამუშავების სფეროში.

6. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა, სამინისტროებმა და უწყებებმა გაითვალისწინონ რესპუბლიკებისა და ცალკეული რაიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1989-1990 და მომდევნო წლების გეგმათა პროექტებში პატარა ქალაქებში, მუშათა დაბებში და სოფლად მცირე სპეციალიზებული საწარმოების, ფილიალებისა და საამქროების განლაგება, პირველ რიგში სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავებასთან და ადგილობრივი ნედლეულისაგან ნაკეთობათა წარმოებასთან დაკავშირებული ობიექტებისა. მიაღწიონ იმას, რომ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს გააჩნდეთ, როგორც წესი, პროდუქციის გადამუშავებისა და შენახვის საკუთარი სიმძლავრეები.

სოფლად, განსაკუთრებით სეზონთაშორის პერიოდში, შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და დამატებითი პროდუქციის გამოშვების მიზნით საჭიროდ ჩაითვალოს ფართოდ განვითარდეს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სარეწები და დამხმარე სამრეწველო წარმოებანი პირ-

ველ რიგში სახალხო მოხმარების საქონლისა და საკუთარი საჭიროებისათვის, აგრეთვე სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის პროდუქციის დასამზადებლად მათთან დადებული ხელშეკრულებებისა და მოსახლეობის შეკვეთების მიხედვით.

გააფართოონ ინდივიდუალურ, საოჯახო და კოოპერაციულ საწყისებზე იჯარის ახალი პროგრესული ფორმების გამოყენება იმ ვარაუდით, რომ გადასცენ იჯარით მიწის ნაკვეთები, საწარმოო შენობა-ნაგებობანი, მოწყობილობა და ტექნიკა.

7. სამინისტროებმა და უწყებებმა პროფკავშირული ორგანოების მონაწილეობით, დარგის განვითარების, წარმოების რეკონსტრუქციის, ტექნიკური კვლავაღჭურვის, ახალ სიმძლავრეთა ამოქმედების, პროგრესული ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის, საწარმოო ინფრასტრუქტურის განვითარების პერსპექტივიდან გამომდინარე, განსაზღვრონ მუშაკთა გამოთავისუფლების შესაძლებლობანი მათი პროფესიული შემადგენლობის გათვალისწინებით, დროულად, გეგმიან საფუძველზე გაითვალისწინონ მათი შემდგომი შრომითი მოწყობის ღონისძიებანი.

გაუწიონ საწარმოებს პრაქტიკული დახმარება უშუალოდ დარგში ამ მუშაკთა ეფექტიანი გამოყენებისათვის, შექმნან ახალი სამეურნეო ათვისების რაიონებში განლაგებულ მშენებლობებზე და საწარმოებში მათი გაგზავნის, კვალიფიციური მუშებითა და სპეციალისტებით ჩამორჩენილ საწარმოთა განმტკიცების პირობები.

სამინისტროთა და უწყებათა საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად ჩაითვალოს მუშათა და სპეციალისტთა მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზაცია დარგის მასშტაბით.

8. სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, შრომისა და სოციალურ საკითხთა ადგილობრივმა ორგანოებმა, კომკავშირულმა ორგანოებმა ყოველმხრივ შეუწყონ ხელი გამოთავისუფლებულ მუშაკებს, მათი სურვილისამებრ, ქვეყნის სხვა რეგიონებში, უწინარეს ყოვლისა, ჩრდილოეთის, ციმბირის, შორეული აღმოსავლეთისა და რუსეთის სფსრ არაშავმიწანიადაგიანი ზონის რაიონებში სამუშაოდ გადასვლაში შინადარგობრივი გადაყვანის, ორგანიზებული შეგროვების, საზოგადოებრივი გაწვევისა და სასოფლო-სამეურნეო გადასახლება-დასახლების წესით, ამასთან მისცენ აღნიშნულ მუშაკებს შესაბამისი გარანტიები და კომპენსაციები.

გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა, ადგილობრივმა ორგანოებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა შექმნან ჩასულ მუშაკთა დამკვიდრებისათვის, თითოეული ადამიანის შრომის რაციონალური გამოყენებისათვის საჭირო პირობები, გამოიჩინონ ზრუნვა მათთვის სათანადო საბინაო და სხვა სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობების შესაქმნელად, ხელი შეუწყონ მათი ოჯახების წევრთა შრომითს მოწყობას.

9. ქალაქ მოსკოვში განლაგებულ მართვის საკავშირო, რესპუბლიკურ და სხვა ორგანოთა სტრუქტურების გარდაქმნისათვის მუშაობის გეგმაზომიერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

18950

და ორგანიზებული განხორციელების განსაკუთრებული მხიშვნელობის გათვალისწინებით სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭომ, მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა და მოსკოვის საოლქო საბჭოს აღმასკომმა, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანოებმა შეიმუშაონ და განახორციელონ მმართველობის ორგანოებიდან გამოთავისუფლებული მუშაკების შრომითი მოწყობის დამატებით ღონისძიებათა კომპლექსი, ამასთან მხედველობაში იქონიონ, რომ:

უზრუნველყონ პირველ რიგში კვალიფიციური კადრებით მხოლოდ შესაქმნელი სახელმწიფო საწარმოო გაერთიანებანი, აგრეთვე მოქმედი სამეცნიერო-საწარმოო და საწარმოო გაერთიანებანი, შესაბამისი დარგების საწარმოები, რომლებიც განლაგებულია ქალაქ მოსკოვსა და მოსკოვის ოლქში;

გამოიყენონ გამოთავისუფლებულ მუშაკთა შრომითი მოწყობის შესაძლებლობანი სხვა ერთგვაროვანი დარგების საწარმოებსა და ორგანიზაციებში, ამასთან მაქსიმალურად გაითვალისწინონ თითოეული მათგანის პროფესიული ცოდნა და საწარმოო გამოცდილება;

გაგზავნონ გამოთავისუფლებული მუშაკები, მათი თანხმობით, წამყვანი საწარმოო უბნების განსამტკიცებლად ქვეყნის სხვა რეგიონების საწარმოებსა და ორგანიზაციებში;

ფართოდ შემოიღონ პრაქტიკაში გამოთავისუფლებულ მუშაკთა გაგზავნა მომსახურების სფეროს საწარმოებში, ხელი შეუწყონ კოოპერატივების შექმნას;

მოაწყონ საჭიროების კვალობაზე მმართველობის ორგანოების გამოთავისუფლებულ მუშაკთა გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება მათი შრომითი საქმიანობის ახალი პროფილის გათვალისწინებით.

მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა და მოსკოვის საოლქო საბჭოს აღმასკომმა სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად განიხილონ საკითხი 1988-1990 წლებში ქალაქ მოსკოვსა და მოსკოვის ოლქში განლაგებულ საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთა გაგზავნის შეზღუდვის შესაძლებლობის შესახებ.

10. კადრების შერჩევის, განაწილებისა და განახლების შემდგომი სრულყოფის, გამოცდილ და ახალგაზრდა მუშაკთა სწორი შერწყმა-შეხამების მიზნით საჭიროდ ჩაითვალოს გაუმჯობესდეს საპენსიო ასაკს მიღწეულ მუშა-მოსამსახურეთა შრომის გამოყენება საწარმოებში, ორგანიზაციებში, დაწესებულებებში, სამინისტროებში, საწარმოებსა და მმართველობის სხვა ორგანოებში.

მიზანშეწონილად ჩაითვალოს უფლება მიეცეს ადმინისტრაციას პროფკავშირულ კომიტეტთან ერთად შეინარჩუნოს შრომითი ურთიერთობა საპენსიო ასაკს მიღწეულ მუშა-მოსამსახურეებთან, თუ ისინი მუშაობენ კეთილსინდისიერად, მთელი ძალ-ღონით, აქვთ მაღალი შრომის შედეგები და სარგებლობენ დამსახურებული ავტორიტეტით კოლექტივში. საპენსიო ასაკს მიღწეულ და სრული პენსიის დანიშვნისათვის საჭირო სტაჟის მქონე სხვა მუშაკებთან განაგრძონ შრომითი ურთიერთობა მხარეთა შეთანხმებით ვადიანი შრომითი ხელშეკრულების (2 წლამდე ვადით) დადების (ხელახლა დადების) გზით ან

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეწყვიტონ იგი ადმინისტრაციის ინიციატივით პროფკავშირის კომიტეტის თანხმობით.

საპენსიო ასაკს მიღწეულ პირთა დათხოვნის ეს წესი არ ვრცელდება შრომითი კოლექტივის მიერ თანამდებობაზე არჩეულ მუშაკებზე, აგრეთვე იმ პირებზე, რომელთა მიმართაც კანონმდებლობით დადგენილია ასაკის მიხედვით სამუშაოდან განთავისუფლების სხვა წესი.

II. გამოთავისუფლებულ მუშაკთათვის შეღავათებისა და კომპენსაციების მიცემის შესახებ

11. გამოიჩინონ ზრუნვა გამოთავისუფლებულ მუშაკთა შრომითი მოწყობისათვის, იმ ვარაუდით, რომ მინიმუმამდე დაიყვანონ მუშაობაში შესაძლო წყვეტილობა, ხელფასის დროებითი დანაკარგები და სხვა სიძნელეები შრომითი საქმიანობის ცვლილებებთან დაკავშირებით. ამ მიზნით ყოველმხრივ გამოიყენონ კანონმდებლობით მშრომელთათვის გათვალისწინებული სოციალური გარანტიები.

საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ადმინისტრაციამ, პროფკავშირის კომიტეტმა შრომითი კოლექტივების საბჭოებთან ერთად განიხილონ თითოეული გამოსათავისუფლებელი კანდიდატურა ცალკე, ფართო საჯაროობის საფუძველზე. ამასთან აცნობონ მუშაკებს შრომითი მოწყობის, გადამზადებისა და ახალი პროფესიების, სპეციალობების სწავლების შესაძლებლობის შესახებ, აგრეთვე მოქმედი შეღავათებისა და კომპენსაციების შესახებ.

მომავალი გამოთავისუფლების შესახებ მუშაკს აფრთხილებენ არა უგვიანეს 2 თვით ადრე.

რიცხოვნობის ან შტატის შემცირებასთან დაკავშირებით დათხოვნის შესახებ გაფრთხილებასთან ერთად ადმინისტრაცია სთავაზობს მუშაკს სხვა სამუშაოს იმავე საწარმოში, ორგანიზაციაში, დაწესებულებაში. თუ მუშაკს ეძლევა სამუშაო იმავე საწარმოში, ორგანიზაციაში, დაწესებულებაში, მას უწესდება შრომის ანაზღაურების პირობები, შეღავათები და კომპენსაციები ახალ სამუშაოზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. იმავე საწარმოში, ორგანიზაციაში, დაწესებულებაში შესაბამისი პროფესიის ან სპეციალობის მიხედვით სამუშაოს უქონლობის, აგრეთვე სხვა სამუშაოზე გადაყვანისაგან მუშის ან მოსამსახურის უარის შემთხვევაში მუშაკი, თავისი შეხედულებისამებრ, დახმარებისათვის მიმართავს შრომით მოწყობის ორგანოს ან სამუშაოდ მოეწყობა დამოუკიდებლად. ამავე დროს ადმინისტრაცია აცნობებს შრომითი მოწყობის ორგანოს მუშაკის მომავალი გამოთავისუფლების შესახებ მისი პროფესიის, სპეციალობის, კვალიფიკაციისა და შრომის ანაზღაურების ოდენობის ჩვენებით.

შრომითი მოწყობის ორგანო სთავაზობს მუშას ან მოსამსახურეს სამუშაოს იმავე ან სხვა ადგილზე მისი პროფესიის, სპეციალობის, კვალიფიკაციის მიხედვით, ხოლო სამუშაოს უქონლობისას შეარჩევს სხვა სამუშაოს ინდივიდუალური სურვილისა და საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა გათვალისწინე-

ბით. საჭიროების კვალობაზე მუშაკი შეიძლება გაიგზავნოს, მისი თანხმობით, ახალი პროფესიის (სპეციალობის) შესასწავლად და შემდგომ მიეცეს ... სამუშაო.

13. საწარმო-ორგანიზაციებიდან და დაწესებულებებიდან გამოსათავისუფლებელ მუშაკებს რიცხოვნობის ან შტატის შემცირების ღონისძიებათა განხორციელებასთან დაკავშირებით შრომითი ხელშეკრულების გაწყვეტისას:

ა) მიეცემათ გამოსასვლელი დახმარება საშუალო თვიური გამომუშავების ოდენობით;

ბ) შეუნარჩუნდებათ საშუალო ხელფასი შრომითი მოწყობის პერიოდში, მაგრამ არა უმეტეს 2 თვისა დათხოვნის დღიდან თვიური გამოსასვლელი დახმარების მიცემის გათვალისწინებით;

გ) შეუნარჩუნდებათ საშუალო ხელფასი შრომითი მოწყობის პერიოდში, როგორც გამონაკლისი, მესამე თვის განმავლობაშიც დათხოვნის დღიდან შრომითი მოწყობის ორგანოს გადაწყვეტილებით იმ პირობით, თუ მუშაკმა დროულად (დათხოვნის შემდეგ ორი კვირის ვადაში) მიმართა ამ ორგანოს და მან ვერ მოაწყო სამუშაოზე.

თვიური გამოსასვლელი დახმარება და შენარჩუნებული საშუალო გამომუშავება გაიცემა წინა სამუშაო ადგილზე.

ზემოაღნიშნულ მუშაკებს შეუნარჩუნდებათ უწყვეტი შრომის სტაჟი, თუ დათხოვნის შემდეგ მუშაობის წყვეტილობა არ აღემატებოდა 3 თვეს.

საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის დროს გამოთავისუფლებულ მუშაკებს შეუნარჩუნდებათ შრომითი მოწყობის პერიოდში, მაგრამ არა უმეტეს 3 თვისა, საშუალო ხელფასი თვიური გამოსასვლელი დახმარების მიცემის გათვალისწინებით და უწყვეტი შრომის სტაჟი.

საწარმო-ორგანიზაციებიდან და დაწესებულებებიდან (მმართველობის ორგანოების ჩათვლით) გამოთავისუფლებულ მუშაკებს ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეუნარჩუნდებათ უწყვეტი მუშაობის სტაჟი ხელფასის პროცენტული დანამატების, წელთა ნამსახურებისათვის ერთდროული გასამრჯელოს მისაღებად, აგრეთვე მუშაობის სტაჟთან დაკავშირებული სხვა შეღავათები და მისაცემლები, თუ ისინი მოქმედებენ ახალ სამუშაო ადგილზე. ასეთ მუშაკებს უწყვეტი შრომის სტაჟის არსებობისას ყოველწლიური შვებულება მიეცემათ ახალ ადგილზე მუშაობის დროის მიუხედავად.

14. წარმოებისაგან მოწყვეტით ხელახლა სწავლების ან კვალიფიკაციის ამაღლების დროს გამოთავისუფლებულ მუშა-მოსამსახურეებს შეუნარჩუნდებათ საშუალო ხელფასი, გამოანგარიშებული წინა სამუშაო ადგილზე გამომუშავებიდან ან დაემატებათ სხვაობა საშუალო გამომუშავებამდე წარმოებისაგან მოუწყვეტლივ გადამზადებისას მთელ პერიოდში სწავლების დაწესებული ვადების თანახმად.

უფლება მიეცეთ საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს პროფკავშირის კომიტეტთან შეთანხმებით მისცენ მუშებს, რომლებიც შეუდგნენ მუშაობას ახალი ან მომიჯნავე პროფესიის მიხედვით, სართი წინანდელ სამუშაო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილზე არსებულ საშუალო გამომუშავებამდე 3 თვემდე პროდუქტების სართი უქმდება, თუ მუშა არღვევს შრომისა და საწარმოო დისციპლინას.

მუშაკის სწავლების და საშუალო გამომუშავებამდე სართის ხარჯებს გაიღებს გაერთიანება, საწარმო, ორგანიზაცია, რომელმაც დაუდო მუშაკს შრომითი ხელშეკრულება.

15. გამოთავისუფლებული მუშაკების სხვა საწარმოში, ორგანიზაციაში, დაწესებულებაში გადასვლისას მათი საბინაო პირობების გაუმობესების საკითხებს წყვეტენ ახალი სამუშაო ადგილის ადმინისტრაცია და პროფკავშირის კომიტეტი შრომითი კოლექტივის საბჭოსთან ერთად. ამასთან მხედველობაში მიიღება წინა სამუშაო ადგილზე საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად მუშაკის აღრიცხვაზე ყოფნის დრო, აგრეთვე მისი საერთო შრომის სტაჟი და შრომისადმი დამოკიდებულება.

ასეთ მუშაკებს შეუძლიათ კვლავ ისარგებლონ საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებებით, პიონერბანაკებითა და სამედიცინო მომსახურებით წინა სამუშაო ადგილზე, თუ ისინი ცხოვრობენ იმავე ქალაქში, რაიონში.

ცალკეულ შემთხვევებში, ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტის ინიციატივით და შრომითი კოლექტივის საბჭოს თანხმობით, გამოთავისუფლებული მუშაკები შეიძლება დატოვებულ იქნენ საბინაო პირობების გაუმჯობესების აღრიცხვაზე წინა სამუშაო ადგილზე.

შრომითი რესურსების გეგმიანი გადანაწილების წესით სხვა ადგილზე ახალ სამუშაოზე გამოთავისუფლებულ მუშაკთა გადასვლისას საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები მოვალენი არიან მისცენ მათ და მათი ოჯახების წევრებს საცხოვრებელი ფართობი შრომითი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. შემდგომში შრომითი კოლექტივის საბჭოს თანხმობით მათი საბინაო პირობები შეიძლება გაუმჯობესდეს წინა სამუშაო ადგილზე საბინაო პირობების გაუმჯობესების რიგში დაყენების დროის გათვალისწინებით.

16. განისაზღვროს ცენტრალური და რესპუბლიკური ორგანოების აპარატის სტრუქტურის სრულყოფის ღონისძიებათა განხორციელებისას შემდეგი შეღავათებისა და კომპენსაციების მიცემის ერთიანი წესი:

ა) სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროთა და უწყებათა და მათდამი დაქვემდებარებულ მმართველობის ორგანოთა მუშაკებს, რომლებიც გადაყვანილი არიან აპარატში ამ ორგანოების სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა და ხელმძღვანელების მოადგილეთა თანამდებობაზე ნაკლები ხელფასით, მიეცემათ თანამდებობრივი ხელფასის სხვაობა წლის განმავლობაში. ამ მუშაკებს, აგრეთვე ამ ორგანოების სხვა ქვედანაყოფთა ხელმძღვანელებსა და ხელმძღვანელთა მოადგილეებს უნარჩუნდებათ სამედიცინო მომსახურება.

ასეთივე წესით უნარჩუნდებათ ხელფასი სამინისტროთა, უწყებათა და მათდამი დაქვემდებარებულ მმართველობის ორგანოთა ცენტრალური აპარატიდან საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში ხელმძღვანელთა, სპეციალისტთა და მოსამსახურეთა თანამდებობებზე გაგზავნილ მუშაკებს, თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათი ხელფასი ახალ სამუშაო ადგილზე უფრო ნაკლებია, ვიდრე ილებდნენ სამინისტროში, უწყებაში ან დაქვემდებარებულ მმართველობის ორგანოში.

უფლება მიეცეთ სამინისტროთა, უწყებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს გააგრძელონ ერთი წლის გასვლის შემდეგ ან შეამცირონ ანდა გააუქმონ ხელფასის სხვაობის გაცემა ახალ სამუშაო ადგილზე ზემოაღნიშნულ მუშაკთა ატესტაციის შედეგების მიხედვით.

შეღავათების მიცემის ერთიანი წესის დადგენასთან დაკავშირებით გაუქმდეს გამოთავისუფლებულ მუშაკთათვის ხელფასის, მატერიალურ-საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფისა და სამედიცინო მომსახურების შენარჩუნების ადრე მოქმედი პირობები, გარდა იმ პირებისა, რომელთაც ადრე სხვა სამუშაოზე გადაყვანისას ეს შეღავათები მიეცათ მთავრობის ცალკეული გადაწყვეტილებებით;

ბ) სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროთა და უწყებათა აპარატის გამოთავისუფლებული მუშაკების უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებსა და მათთან გათანაბრებულ ადგილებში, ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის რაიონებში გადასვლისას მათ შეუძლიათ დაჯავშნონ საცხოვრებელი ფართობი მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე ხუთ წლამდე ვადით და შემდგომ გააგრძელონ ახალ ადგილზე მუშაობის მთელი პერიოდისათვის. საცხოვრებელი ფართობის დაჯავშნის შემთხვევაში ასეთ მუშაკებს მიეცმათ სამსახურებრივი საცხოვრებელი ფართობი;

გ) სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროთა და უწყებათა აპარატიდან გამოთავისუფლებული მუშაკების საწარმოებში, გაერთიანებებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში გადაყვანისას ამ აპარატში ხელმძღვანელებად და სპეციალისტებად მათი მუშაობის დრო შეტანილ იქნეს მუშაობის სტაჟში შესაბამისი სპეციალობის მიხედვით, ხოლო სამეცნიერო ხარისხის მქონე პირთათვის — სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის სტაჟში.

17. სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად შეიმუშაოს და დაამტკიცოს დებულება მუშა-მოსამსახურეთა გამოთავისუფლების, შრომითი მოწყობის და მათთვის შეღავათებისა და კომპენსაციების მიცემის წესის შესახებ.

III. მოსახლეობის შრომითი მოწყობის საერთო-სახელმწიფოებრივი სისტემის შექმნის შესახებ

18. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად შეიქმნას მოსახლეობის შრომითი მოწყობის, ხელახლა სწავლებისა და პროფორიენტაციის საერთო-სახელმწიფოებრივი სისტემა, რომელიც მოიცავს ყველა რაიონს, ქალაქს, ოლქს, მხარეს, რესპუბლიკას.

ამ მიზნით შეიქმნას 1988 წელს მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში, მხარეებში, ოლქებსა და დიდ ქალაქებში მოსახლეობის შრომითი მოწყობის, ხელახლა სწავლებისა და პროფორიენტაციის სამეურნეოანგარიშიანი ცენტრები, ხოლო სხვა რაიონებსა და ქალაქებში — მოსახლეობის შრომითი მოწყობის სამეურნეოანგარიშიანი ბიუროები. ზემოაღნიშნული ცენტრებისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ბიუროების კონკრეტულ ნუსხას განსაზღვრავენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით.

მოსახლეობის შრომითი მოწყობის, ხელახლა სწავლებისა და პროფორიენტაციის საერთო-სახელმწიფოებრივი სისტემის ყველა რგოლის საქმიანობა მოხმარდეს შემდეგი ძირითადი ამოცანების გადაწყვეტას:

შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმებისა და მოძრაობის აღრიცხვის ორგანიზაცია, მუშახელის მოთხოვნილებებისა და წყაროების შესახებ მონაცემთა ბანკების შექმნა;

შესაბამისი პროფესიების, სპეციალობებისა და კვალიფიკაციის მუშაკებზე მოთხოვნილების შესახებ, აგრეთვე იმ სამუშაო ადგილების შესახებ, სადაც შეძლებენ შრომას პენსიონერები, ინვალიდები, ბავშვიანი ქალები, მოსწავლე ახალგაზრდობა, მოსახლეობის ფართო ინფორმაციის უზრუნველყოფა;

დაუსაქმებელი მოსახლეობის, აგრეთვე გამოთავისუფლებულ მუშაკთა შრომითი მოწყობისათვის მუშაობის განხორციელება შრომითი ხელშეკრულების გადაწყვეტამდე მათთვის სამუშაო ადგილის წინასწარი შერჩევით;

გაერთიანებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა დაკომპლექტება საჭირო კადრებით, მუშახელის ორგანიზებული გადანაწილების განხორციელება უპირატესად შრომაუზრუნველყოფილი რაიონებიდან შრომაუკმარ რაიონებში;

მოსახლეობის ყველა ჯგუფის საპროფორიენტაციო მუშაობისა და კონსულტაციების განხორციელება, რეკომენდაციების მიცემა პროფესიის სპეციალობის შერჩევის ან გამოცვლის შესახებ პიროვნების ინდივიდუალური უნარისა და ინტერესების გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და ხელახლა სწავლების ორგანიზაცია.

19. დაწესდეს, რომ მოსახლეობის შრომითი მოწყობის, ხელახლა სწავლებისა და პროფორიენტაციის ცენტრები (მოსახლეობის შრომითი მოწყობის ბიუროები) მუშაობენ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოებისა და მათი შრომის ორგანოების ხელმძღვანელობით სამეურნეო ანგარიშის პრინციპებით, ხელშეკრულებათა მიხედვით და საწარმოებთან და ორგანიზაციებთან თანამშრომლობით. ამ ცენტრების (ბიუროების) ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის საჭირო სახსრების ოდენობა უშუალოდ არის დამოკიდებული საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის გაწეული მომსახურების მოცულობაზე, აგრეთვე კადრებზე მათი მოთხოვნილების დროულად და სრულად დაკმაყოფილებაზე.

უფლება მიეცეთ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს გამოუყონ მოსახლეობის შრომითი მოწყობის, ხელახლა სწავლებისა და პროფორიენტაციის ცენტრებს (მოსახლეობის შრომითი მოწყობის ბიუროებს) საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ ადგილობრივ ბიუჯეტებში შესატანი შრომითი რესურსებისათვის გადასახდელის ანარიცხების ხარჯზე წარმოქმნილი სახსრების ნაწილი რეგიონის მოსახლეობის სრული და ეფექტიანი დასაქმების და საწარმოო ძალთა რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ სამუშაოთა დასაფინანსებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწარმო-ორგანიზაციებთან ანგარიშსწორების წესს განსაზღვრავენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები მოსახლეობის შრომითი მოწყობის, ხელახლა სწავლებისა და პროფორიენტაციის ცენტრების (მოსახლეობის შრომითი მოწყობის ბიუროების) დებულების შესაბამისად. სსრ კავშირის შრომისა და სპეციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა დაამტკიცოს საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით დებულება ზემოაღნიშნული სამეურნეოანგარიშიანი ცენტრების (ბიუროების) საქმიანობის დაფინანსების შესახებ.

20. გაერთიანებებმა, საწარმოებმა, ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა მიაწოდონ მოსახლეობის შრომითი მოწყობის, ხელახლა სწავლებისა და პროფორიენტაციის ცენტრებს (მოსახლეობის შრომითი მოწყობის ბიუროებს) ცნობები თავისუფალი სამუშაო ადგილების, ვაკანტური თანამდებობების შესახებ, ყველა გამოთავისუფლებული, მიღებული და დათხოვნილი მუშაკის შესახებ.

სსრ კავშირის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან ერთად განსაზღვროს ასეთი ინფორმაციის წარდგენის წესი, აგრეთვე უზრუნველყოს, მოყოლებული 1988 წლიდან, გამოთავისუფლებულ მუშაკთა და დროებით დაუსაქმებელი მოსახლეობის სისტემატური აღრიცხვა.

21. სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა და სსრ კავშირის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის გამოთვლითი ტექნიკისა და ინფორმატიკის სახელმწიფო კომიტეტთან ერთად უზრუნველყონ შრომითი რესურსების, როგორც სახალხო მეურნეობისა და სოციალური განვითარების მართვის შემადგენელი ნაწილის, მართვის ავტომატიზებული სისტემების შემუშავება და დანერგვა.

გაითვალისწინონ მოსახლეობის შრომითი მოწყობის, ხელახლა სწავლებისა და პროფორიენტაციის ცენტრების (მოსახლეობის შრომითი მოწყობის ბიუროების) აღჭურვა საჭირო კომპიუტერული და გამოთვლითი ტექნიკით ქვეყნის რეგიონებში მოსახლეობის დასაქმების პროგნოზირების, დაგეგმვისა და რეგულირების ამოცანების კომპლექსური გადაწყვეტის, სახალხო მეურნეობაში შრომითი რესურსების გეგმაზომიერი და ოპერატიული გადანაწილების ორგანიზაციის მიზნით.

22. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ და მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიებმა, სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა, საკავშირო პროფსაბჭომ, სამინისტროებმა და უწყებებმა უზრუნველყონ მუშაკთა გამოთავისუფლებისა და შრომითი მოწყობის, მათი გადანაწილებისა და გამოყენების ყველაზე რაციონალურ მიმართულებათა პროგნოზირებასთან, მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმების უზრუნველყოფის ღონისძიებათა განხორციელებასთან დაკავშირებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების დამუშავების მეცნიერული დასაბუთება.

23. სსრ კავშირის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, ცენტრალური, დარგობრივი და ადგილობრივი გაზეთების, ჟურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნალებისა და გამომცემლობათა რედაქციებმა ფართოდ გააშუქონ მოსახლეობის დასაქმების, მუშაკთა გამოთავისუფლებისა და შრომითი მოწყობის, გადამზადებისა და პროფორიენტაციის საკითხები, აგრეთვე სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობის მოწინავე გამოცდილება ამ დარგში.

მოქალაქეთა ოპერატიული ინფორმაციის მიზნით მოსახლეობის შრომითი მოწყობის, ხელახლა სწავლებისა და პროფორიენტაციის ცენტრებმა (მოსახლეობის შრომითი მოწყობის ბიუროებმა) რესპუბლიკებში, მხარეებში, ოლქებსა და ქალაქებში რეგულარულად გამოსცენ შესაბამისი ბიულეტენები.

24. საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, კომკავშირის რესპუბლიკურმა, სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, პირველადმა კომკავშირულმა ორგანიზაციებმა აღზარდონ ქალიშვილები და ჭაბუკები შრომისადმი კეთილსინდისიერი და შემოქმედებითი დამოკიდებულების სულისკვეთებით, კომკავშირისა და მოწინავე შრომითი კოლექტივების საუკეთესო ტრადიციებით. შეუნელებელი ყურადღება დაუთმონ ახალგაზრდობის პროფორიენტაციას, პროფესიულ მომზადებას, კვალიფიკაციის ამაღლებას, მაღალნაყოფიერი შრომისათვის საჭირო პირობების შექმნას.

კომკავშირის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად ჩაითვალოს ახალგაზრდობის გაგზავნა საზოგადოებრივი გაწვევის წესით სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანეს ობიექტებზე. დაუცხრომლად განახორციელოს მუშაობა წარმოებაში, განსაკუთრებით კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ახალგაზრდა მუშათა და სპეციალისტთა დასამკვიდრებლად.

25. მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა, პარტიის სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანოებმა დღენიადაგ იზრუნონ მოსახლეობის სრული და ეფექტიანი დასაქმების უზრუნველსაყოფად. მკაცრი კონტროლი გაუწიონ შრომითი კანონმდებლობის დაცვას, გამოთავისუფლებულ მუშაკთათვის უფლებრივი და სოციალური გარანტიების მინიჭებას. გადაჭრით აღკვეთონ მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შებღალვის ყოველგვარი ცდები.

26. სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროსთან და საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად:

მისცეს სათანადო განმარტებანი ამ დადგენილების გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

მოამზადოს დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით და წარმოუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედ კანონმდებლობაში ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებათა შეტანის შესახებ.

* * *

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საკავშირო პროფსაბჭო გამოთქვამენ რწმენას, რომ შრომითი კოლექტივები, პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშრული ორგანოები ყოველ ღონეს იხმარენ იმისათვის, რათა დასახული ღონისძიებანი განხორციელდეს ორგანიზებულად, მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების სრული გარანტიით, ხელს შეუწყობენ მშრომელთა შრომითი და სოციალური აქტიურობის ამაღლებას ეკონომიკის შემდგომი ზრდისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების ინტერესებისათვის.

სკკპ	სსრ კავშირის	საკავშირო
ცენტრალური კომიტეტის	მინისტრთა საბჭოს	პროფსაბჭოს
მდივანი	თავმჯდომარე	თავმჯდომარე
მ. გორბაჩოვი	**ნ. რიჟკოვი**	**ს. შალაევი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

2 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 3 ივნისის № 329 დადგენილების ნაწილობრივ ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ზოგიერთ საკითხზე სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 10 ნოემბრის № 1268 დადგენილების შესაბამისად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს მე-4 პუნქტი და მე-5 პუნქტის მეორე აბზაცი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 3 ივნისის № 329 დადგენილებისა „მსუბუქი მრეწველობის საქონლის წარმოების დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების სრულყოფის, მისი ხარისხისა და ასორტიმენტის გაუმჯობესების, მრეწველობასთან ვაჭრობის კავშირურთიერთობის სრულყოფის ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ჯ. პატიაშვილი**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

ქ. თბილისი, 1988 წ. 9 თებერვალი, № 68

3 თბილისის აგროსამრეწველო კომიტეტის შექმნის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსში დაგროვილმა მნიშვნელოვანმა საწარმოო პოტენციალმა, მართვის სისტემის გარდაქმნამ, მეურნეობის გაძღოლის ახალმა ფორმებმა პროდუქციის წარმოების ზრდის ტემპის დაჩქარების, ხარისხის ამაღლებისა და სასურსათო საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნილებ ი ს რაც შეიძლება სრული დაკმაყოფილების ხელშემწყობი წანამძღვრები შექმნეს.

ამასთანავე, როგორც პრაქტიკამ ცხადყო, მართვის არსებული სტრუქტურა ვერ უზრუნველყოფს ქალაქ თბილისის სურსათით მომარაგების მოგვარებისათვის კოორდინირებულ მუშაობას სოფლის მეურნეობის პროდუქციის ტრანსპორტირების, შენახვისა და გადამუშავების, შენახვისა და ვაჭრობის სფეროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების საკითხთა კომპლექსური გადაწყვეტის საფუძველზე ამ მიზნით ქალაქში განლაგებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა რესურსებისა და შესაძლებლობების გამოყენებით.

ქალაქ თბილისის კვების პროდუქტებით მომარაგების ძირეული გაუმჯობესების მიზნით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის, საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტისა და თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის წინადადება, შეთანხმებული სსრ კავშირის სახაგრომრეწვთან, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან, და შექმნას ექსპერიმენტის წესით თბილისის აგროსამრეწველო კომიტეტი (თბილაგრომრეწვი).

2. დაწესდეს, რომ:

— თბილისის აგროსამრეწველო კომიტეტი არის ქალაქ თბილისის ფარგლებში აგროსამრეწველო კომპლექსის სახელმწიფო მართვის ორგანო და ქალაქ თბილისისა და მისი რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებთან ერთად მთლიანად აგებს პასუხს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებასთან, გადამუშავებასთან, შენახვასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული ყველა გაერთიანების, საწარმოსა და ორანიზაციის საქმიანობის დინამიკური განვითარების, დაბანდებული სახსრების, მატერიალურ-ტექნიკური, ფინანსური და შრომითი რესურსების ეფექტიანი გამოყენების, ქალაქ თბილისის მოსახლეობის პროდუქტებით მომარაგების სტაბილური გაუმჯობესებისათვის არსებული საწარმოო პოტენციალის მაქსიმალური უკუგების უზრუნველყოფის ამოცანების გადასაწყვეტად;

— ამ მიზნით თბილისის აგრსამრეწველო კომიტეტს ენიჭება შესაბამისი უფლებები და რწმუნებანი დაგეგმვის, დაფინანსებისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით აგროსამრეწველო კომპლექსის უზრუნველყოფის დარგში. კომიტეტის გადაწყვეტილებანი, მიღებული მისი კომპეტენციის ფარგლებში, სავალდებულოა შესასრულებლად მის შემადგენლობაში შემავალი ყველა დაწესებულების, გაერთიანების, საწარმოსა და ორგანიზაციისათვის;

— თბილისის აგროსამრეწველო კომიტეტი ახორციელებს თავის საქმიანობას საქართველოს სსრ სახაგრომრეწვისა და თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელობით;

— თბილისის აგროსამრეწველო კომიტეტს სათავეში უდგას თავმჯდომარე, რომელიც ამავე დროს არის თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე; თბილისის აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარეს ჰყავს სამი მოადგილე.

3. დამტკიცდეს თბილისის აგროსამრეწველო კომიტეტის შემადგენლობაში შემავალ გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ნუსხა, დანართის თანახმად.

სახელმწიფო გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა გადაცემა თიბლისის აგროსამრეწველო კომიტეტის დაქვემდებარებაში მოხდეს 1988 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

ნება დაერთოს საქართველოს სსრ სახაგრომრეწვს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომთან შეთანხმებით გამოიყენოს საჭიროების კვალობაზე თბილისის აგროსამრეწველო კომიტეტის დაქვემდებარებიდან და გადასცეს მის დაქვემდებარებაში საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის სისტემის ცალკეული გაერთიანებანი, საწარმოები და ორგანიზაციები.

4. თბილისის აგროსამრეწველო კომიტეტის შექმნასთან დაკავშირებით მიზანშეწონილად ჩაითვალოს თბილხილბოსტანვაჭრობის გაუქმება.

5. დამტკიცდეს თბილისის აგროსამრეწველო კომიტეტის აპარატის მუშაკთა ზღვრული რიცხოვნობა 97 ერთეულის რაოდენობით 19,9 ათასი მანეთი რთვიური ხელფასის ფონდით (თანამდებობრივი საროების მიხედვით) საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის ცენტრალური აპარატის 50 პროცენტით შემცირებული რიცხოვნობისა და გაუქმებული თბილხილბოსტანვაჭრობი სრიცხოვნობის ხარჯზე.

დაუწესდეთ თბილისის აგროსამრეწველო კომიტეტის აპარატის მუშაკებს თანამდებობრივი სარგოები ავტონომიურირ ესპუბლიკების სახაგრომრეწვების აპარატის მუშაკთათვის გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოების დონეზე.

თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა საქართველოს სსრ სახაგრომრეწვთან შეთანხმებით დაამტკიცოს თბილისის აგროსამრეწველო კომიტეტის სტრუქტურა, საშტატო განრიგი და ხარჯთაღრიცხვა.

6. საქართველოს სსრ სახაგრომრეწვმა შეიმუშაოს და განახორციელოს ქმედითი ღონისძიებანი თბილისის აგროსამრეწველო კომიტეტის საქვეუწყებო საწარმოთა და ორგანიზაციათა ფინანსური მდგომარეობის გასაჯანსაღებლად.

7. თბილისის აგროსამრეწველო კომიტეტმა ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს თბილისის აგროსამრეწველო კომიტეტის დებულების პროექტი ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის, მხარის, ოლქის აგროსამრეწველო კომიტეტის ტიპობრივი დებულების საფუძველზე, შეუთანხმოს იგი საქართველოს სსრ სახაგრომრეწვს და წარუდგინოს დასამტკიცებლად თბილისისს ახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს.

8. საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სახაგრომრეწვმა, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა, საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის რაიკომებმა და ქალაქ თბილისის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომებმა უზრუნველყონ თბილისის აგროსამრეწველო კომიტეტისა და მისი საქვეუწყებო გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა დაკომპლექტება კვალიფიციური კადრებით.

9. საქართველოს სსრ სახაგრომრეწვმა და თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ერთი თვის ვადაში გამოყონ შენობა თბილისის აგროსამრეწველო კომიტეტის აპარატის მოსათავსებლად, ამასთან იხელმძღვანელონ სამსახურებრივი ფართობის გამოყოფის თაობაზე მოქმედი ნორმატივებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, ხელმძღვანელობენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სადირექტივო მითითებებით წვრილმანი მეურვეობის და ადმინსტრირების, სამეურნეო ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა მაგივრობის დაუშვებლობის შესახებ, ავალებენ ქალაქ თბილისის პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს, საქართველოს სსრ სახაგრომრეწვს დღენიადაგ იზრუნონ თბილისის აგროსამრეწველო კომიტეტისა და მისი საქვეუწყებო გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელი კადრების სტაბილურობისათვის, მათი ფართო საქმიანი ინიციატივის გამოსავლენად ოპტიმალური პირობების შექმნისათვის, იმისათვის, რომ ჩაუნერგონ სამეურნეო მუშაკებს მაღალი პასუხისმგებლობა ქალაქ თბილისი ს მშრომელთა სასურსათო საქონლით სტაბილური და რაციონალური უზრუნველყოფის პრობლემის გადასაჭრელად.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ჯ. პატიაშვილი**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

ქ. თბილისი, 1988 წ. 11 თებერვალი, № 57

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 11 თებერვლის № 57 დადგენილების დანართი

ნუსხა

გაერთიანებებისა, საწარმოებისა და ორგანიზაციებისა, რომლებიც შედიან თბილაგრომრეწვის შემადგენლობაში

აგროსამრეწველო კომბინატი „გარდაბანი“ (ორმაგი დაქვემდებარებით)
უნივერსალური სავაჭრო ცენტრი
თბილისის ავტოსატრანსპორტო საწარმო
რაიხილბოსტანვაჭრობები (ქალაქ თბილისის 10 რაიონში)
ლილოს ხილბოსტნეულის პროდუქციის შესანახი და გადასამუშავებელ-სარეალიზაციო კომბინატი
ლილოს ხილბოსტნეულის საბითუმო ბაზა
№ 5 სარემონტო-სამშენებლო ტრესტი
№ 2672 ავტოკოლონა
საწარმოო გაერთიანება „ლაღიძის წყლები“
ქალაქ თბილისში განლაგებული საფირმო მაღაზიები, რესტორნები, კაფეები, ლუდის ბარები (17 საწარმო)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

4 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 1 დეკემბრის № 1367 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ“ სსრ კავშირის კანონთან და „შრომისა და ხელფასის საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ჩათვლისა და შეცვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 1 დეკემბრის № 1367 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო ადგენენ:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1973 წლის 3 ივლისის № 418 დადგენილება „შრომის ნორმირების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, მე-4 პუნქტის გარდა.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 1 დეკემბრის № 1367 დადგენილებით ძალადაკარგულად ჩაითვალა სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადაყვანილ საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა ნაწილში მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მეორე წინადადება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1985 წლის 6 ივნისის № 540 დადგენილებისა „სახალხო მეურნეობაში შრომის ნორმირების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, აგრეთვე მე-7 პუნქტის მეოთხე აბზაცი გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის პროდუქციის შრომატევადობის შემცირების დავალებათა და შრომითი დანახარჯების სხვა მაჩვენებელთა დაგზავნის ნაწილში და მე-13 პუნქტი ამავე დადგენილებისა,რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1985 წლის 16 სექტემბრის № 604 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**	საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **ვ. სირაძე**

ქ. თბილისი, 1988 წ. 9 თებერვალი, № 51

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

5 მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში საწარმოებისა და გაერთიანებების მიერ თვიურ საგეგმო დავალებათა შესრულების უზრუნველსაყოფად მუშაობის ორგანიზაციის ფორმებისა და მეთოდების შესახებ

საწარმოთა და გაერთიანებათა მყარი და რიტმული მუშაობის, მათ მიერ დამტკიცებულ საგეგმო დავალებათა სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით და „მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში საწარმოებისა და გაერთიანებების მიერ თვიურ საგეგმო დავალებათა შესრულების უზრუნველსაყოფად მუშაობის ორგანიზაციის ფორმებისა და მეთოდების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 10 დეკემბრის № 1409 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ სამინისტროებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებულმა საკავშირო დაქვემდებარების დარგების საწარმოებმა და გაერთიანებებმა მიიღონ სახელმძღვანელოდ და განუხრელ შესასრულებლად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 10 დეკემბრის № 1409 დადგენილება „მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში საწარმოებისა და გაერთიანებების მიერ თვიურ საგეგმო დავალებათა შესრულების უზრუნველსაყოფად მუშაობის ორგანიზაციის ფორმებისა და მეთოდების შესახებ“ (თან ერთვის).

2. დაწესდეს რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების მრეწველობის მიხედვით 1988-1990 წლებისათვის საწარმოებისა და გაერთიანებების მიერ თვიურ დავალებათა ფორმირების შემდეგი წესი:

ზემდგომი ორგანიზაციის მიერ შეტყობინებული საწყისი მონაცემების საფუძველზე და გათვალისწინებით საწარმოები და გაერთიანებანი დამოუკიდებლად აფორმირებენ სამრეწველო პროდუქციის (სამუშაოთა, მომსახურების) წარმოების მოცულობებს ღირებულებითი გამოხატულებით თვეების მიხედვით;

სახელმწიფო შეკვეთის ნომენკლატურის პროდუქციის მიწოდების თვიურ გეგმებს შეიმუშავებენ და ამტკიცებენ საწარმოები და გაერთიანებანი დამოუკიდებლად, შესაბამისი კვარტალის დავალებებიდან და მომხმარებლებთან დადებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე;

პირდაპირი კავშირურთიერთობის მიხედვით პროდუქციის ... თვიურ დაგეგმვას საწარმოები და გაერთიანებანი ახორციელებენ მომხმარებლებთან ხელშეკრულებათა საფუძველზე;

თვიური გეგმების ფორმირებისას საწარმოები და გაერთიანებანი ითვალისწინებენ მომხმარებელთათვის პროდუქციის რიტმული მიწოდებისა და თანაბარზომიერი დაყოფის აუცილებლობას;

ღირებულებითი გამოხატულებით სამრეწველო პროდუქციის წარმოების თვიურ შინაკვარტალურ გეგმებს საწარმოები და გაერთიანებანი ატყობინებენ სამინისტროებსა და უწყებებს, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტს არა უგვიანეს 25 დღისა შესაბამისი კვარტალის დაწყებამდე.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი და საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტი განაზოგადებენ მიღებულ მასალას და შედეგების შესახებ მოახსენებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს — არა უგვიანეს 15 დღისა კვარტალის დაწყებამდე შემდგომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და სსრ კავშირის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტისათვის შესატყობინებლად დაწესებულ ვადებში.

3. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების თბილისის, ქუთაისის, რუსთავისა და ფოთის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა მიიღონ ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ საწარმოებისა და გაერთიანებების მიერ დამტკიცებული გეგმების სტაბილურობას, იმ ვარაუდით, რომ არ დაირღვეს დაკავშირებული დარგების მუშაობის რიტმულობა.

ცალკეულ შემთხვევებში, როცა მომხმარებელთა მოთხოვნით იცვლება სახელშეკრულებო ვალდებულებანი, შესაბამისი ცვლილებები შეაქვთ თვიურ გეგმებში საწარმოებსა და გაერთიანებებს' არა უგვიანეს 15 დღისა თვის დამთავრებამდე სამინისტროებისა და უწყებებისათვის შეტყობინებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მოქმედი კანონმდებლობით დაწესებულია თვიური გეგმების შეცვლის სხვა ვადები.

სამინისტროები და უწყებები ორი დღის ვადაში ატყობინებენ ზემოაღნიშნულ ცვლილებათა შესახებ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტს შემდგომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და სსრ კავშირის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტისათვის შესატყობინებლად დადგენილი წესით.

4. განისაზღვროს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მრეწველობის განვითარების თვიური გეგმების ფორმირების წესი, როდესაც საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები და უწყებები, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო დაქვემდებარების დარგების საწარმოები და გაერთიანებანი წარუდგენენ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტეტს ღირებულებითი გამოხატულებით სამრეწველო პროდუქციის წარმოების თვიურ შინაკვარტალურ გეგმებს სსრ კავშირის შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებებისათვის შეტყობინებასთან ერთად. საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტი განაზოგადებს მიღებულ მონაცემებს და წარმოუდგენს თვიურ შინაკვარტალურ გეგმებს მთლიანად რესპუბლიკის და სამინისტროებისა და უწყებების მიხედვით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და ასლით — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს არა უგვიანეს 10 დღისა შესაბამისი კვარტალის დაწყებამდე.

5. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების თბილისის, ქუთაისის, რუსთავისა და ფოთის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა განსაზღვრონ თავიანთი საქმიანობის ზონაში განლაგებული საწარმოებისა და გაერთიანებების მიერ მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში თვიურ საგეგმო დავალებათა შესრულების უზრუნველსაყოფად მუშაობის ორგანიზაციის წესი ამ დადგენილების გათვალისწინებით.

6. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 8 დეკემბრის № 1396 დადგენილების შესაბამისად გაითვალისწინოს საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტისათვის სახსრების გამოყოფა, რაც საჭიროა რესპუბლიკის საწარმოებისა და გაერთიანებების მიერ სამრეწველო პროდუქციის წარმოების საგეგმო მაჩვენებლების შეკრებისა და მექანიზებული დამუშავების სამუშაოთა დასაფინანსებლად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიბვავა**

ქ. თბილისი, 1988 წ. 5 იანვარი, № 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

დადგენილება № 1409

1987 წლის 10 დეკემბერი

მოსკოვი, კრემლი

მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში საწარმოებისა და გაერთიანებების მიერ თვიურ საგეგმო დავალებათა შესრულების უზრუნველსაყოფად მუშაობის ორგანიზაციის ფორმებისა და მეთოდების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ ეკონომიკის მართვის რეფორმის პრაქტიკული რეალიზაციის პირობებში იზრდება მოთხოვნები საწარმოთა და გაერთიანებათა მყარი და რიტმული მუშაობის, მათ მიერ მიღებულ საგეგმო დავალებათა სტაბილურობის უზრუნველყოფისადმი, რაც სახელმეკრულებო ვალდებულებათა დროული და ხარისხიანი შესრულების უმნიშვნელოვანესი წანამძღვარია.

1987 წელს მრეწველობის მუშაობა გვიჩვენებს, რომ ცალკეულ დარგებში საგეგმო დავალებათა შესრულების არსებული ჩამორჩენა ბევრად არის განპირობებული თვეების მიხედვით კვარტალური გეგმების არათანაბარზომიერი განაწილებით. ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა ნაკლოვანებანი, როცა საწარმოები და გაერთიანებანი კვარტალის პირველი თვეებისათვის აწესებდნენ შემცირებულ გეგმებს. ეს წარმოშობს იერიშობანას, მკვეთრად აუარესებს პროდუქციის (სამუშაოთა, მომსახურების) ხარისხს, იწვევს ხელფასის სახსრების გადახარჯვას, ქმნის მნიშვნელოვან სიძნელეებს მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებასა და ტრანსპორტის მუშაობაში, არღვევს მომხმარებელთა რიტმულ მუშაობას. საბოლოო ანგარიშით ასეთი მდგომარეობის გამო კვარტალურ საგეგმო დავალებათა და მთლიანად წლიური გეგმის შესრულებას ჩაშლის საფრთხე ემუქრება.

საწარმოთა და გაერთიანებათა გადაყვანა მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებზე, სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის სამოქმედოდ შემოღება მოითხოვს საწარმოებსა და გაერთიანებებში დაგეგმვის ორგანიზაციის ზუსტ სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს მათ მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებათა უცილობლივ შესრულებას, მომხმარებელთა ნორმალურ მუშაობას და საწარმოო სიმძლავრეებისა და რესურსების ეფექტიან გამოყენებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ამოცანების გადაწყვეტა არსებითად აძლიერებს თვით საწარმოთა და გაერთიანებათა პასუხისმგებლობას წლის განმავლობაში საწარმოო პროგრამის თანაბარზომიერი და ეკონომიკურად დასაბუთებული კვარტალობრივი და თვიური განაწილებისათვის, აგრეთვე დარგის დაბალანსებული და პროპორციული განვითარების და საწარმოთა და გაერთიანებათა მყარი მუშაობის უზრუნველსაყოფად სამინისტროთა და უწყებათა მხრივ დარგებისადმი ხელმძღვანელობის საერთო დონისათვის.

სახალხო მეურნეობის მუშაობის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და რიტმულობის ამაღლების, საწარმოთა და გაერთიანებათა გეგმების სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს 1988-1990 წლებისათვის საწარმოებისა და გაერთიანებების მიერ თვიურ დავალებათა ფორმირების შემდეგი წესი:

ზემდგომი ორგანიზაციის მიერ შეტყობინებული საწყისი მონაცემების საფუძველზე და გათვალისწინებით საწარმოები და გაერთიანებანი დამოუკიდებლად აფორმირებენ სამრეწველო პროდუქციის (სამუშაოთა, მომსახურების) წარმოების მოცულობებს ღირებულებითი გამოხატულებით თვეების მიხედვით;

სახელმწიფო შეკვეთის ნომენკლატურის პროდუქციის მიწოდების თვიურ გეგმებს შეიმუშავებენ და ამტკიცებენ საწარმოები და გაერთიანებანი დამოუკიდებლად, შესაბამისი კვარტალის დავალებებიდან და მომხმარებელთან დადებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე;

პირდაპირი კავშირურთიერთობის მიხედვით პროდუქციის გამოშვების თვიურ დაგეგმვას საწარმოები და გაერთიანებანი ახორციელებენ მომხმარებლებთან ხელშეკრულებათა საფუძველზე.

თვიური გეგმების ფორმირებისას საწარმოები და გაერთიანებანი ითვალისწინებენ მომხმარებელთათვის პროდუქციის რიტმული მიწოდებისა და თანაბარზომიერი დაყოფის აუცილებლობას.

ღირებულებითი გამოხატულებით სამრეწველო პროდუქციის წარმოების თვიურ შინაკვარტალურ გეგმებს საწარმოები და გაერთიანებანი ატყობინებენ სამინისტროებსა და უწყებებს არა უგვიანეს 20 დღისა შესაბამისი კვარტალის დაწყებამდე.

სამინისტროები და უწყებები აანალიზებენ და განაზოგადებენ საწარმოებისა და გაერთიანებების მიერ წარდგენილი თვიური გეგმების მონაცემებს და კვარტალის დაწყებამდე არა უგვიანეს 15 დღისა ატყობინებენ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და სსრ კავშირის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტს.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი და სსრ კავშირის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტი განაზოგადებენ მიღებულ მასალებს და შედეგების შესახებ მოახსენებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მუდმივ ორგანოებს არა უგვიანეს 10 დღისა კვარტალის დაწყებამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა მიიღონ ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ საწარმოებისა და გაერთიანებების მიერ დამტკიცებული გეგმების სტაბილურობას, იმ ვარაუდით, რომ არ დაირღვეს დაკავშირებული დარგების მუშაობის რიტმულობა.

ცალკეულ შემთხვევებში, როცა მომხმარებელთა მოთხოვნით იცვლება სახელშეკრულებო ვალდებულებანი, შესაბამისი ცვლილებები შეაქვთ თვიურ გეგმებში საწარმოებსა და გაერთიანებებს არა უგვიანეს 15 დღისა თვის დამთავრებამდე სამინისტროების, უწყებებისა და სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებისათვის შეტყობინებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მოქმედი კანონმდებლობით დაწესებულია თვიური გეგმების შეცვლის სხვა ვადები.

სამინისტროები და უწყებები თვის დამთავრებამდე არა უგვიანეს 10 დღისა ატყობინებენ ზემოაღნიშნულ ცვლილებათა შესახებ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და სსრ კავშირის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტს.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა განსაზღვრონ მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებისა და გაერთიანებების მიერ თვიურ საგეგმო დავალებათა შესრულების უზრუნველსაყოფად მუშაობის ორგანიზაციის წესი ამ დადგენილების გათვალისწინებით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. რიჟკოვი**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. სმირტიუკოვი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

6 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რეგლამენტში ნაწილობრივ ცვლილებათა შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

მოქმედი ბანკების რეორგანიზაციასთან და ახალი სპეციალიზებული ბანკების შექმნასთან დაკავშირებით შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რეგლამენტის 26-ე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში ცვლილებანი და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეები, რესპუბლიკის პროკურორი, იუსტიციის მინისტრი, სახმშენის, ფასების სახელმწიფო კომიტეტის, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის, სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეები, სსრ კავშირის სახბანკის, სსრ კავშირის მრეწვმშენბანკის, სსრ კავშირის აგრომრეწვბანკის, სსრ კავშირის ბინსოცბანკის, სსრ კავშირის შემნახველი ბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკების გამგეობათა თავმჯდომარეები, საგარეო ვაჭრობის სამინისტროს რწმუნებული, საქინფორმის დირექტორი, რესპუბლიკური გაზეთების რედაქტორები ან მათი მოადგილეები“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1988 წ. 11 იანვარი, № 4

7 ხელით სამართავი ავტომობილებითა და მოტოციკლებით ინვალიდთა უზრუნველყოფის წესის ინსტრუქციაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 4 აპრილის № 220 დადგენილებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში „ხელით სამართავი ავტომობილებითა და მოტოციკლებით ინვალიდთა უზრუნველყოფის წესის შესახებ“ ცვლილებანი და დამატებანი და მე-12, მე-13, მე-15, მე-17 და 29-ე პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„12. ამ ინსტრუქციის მე-17 პუნქტის თანახმად ოჯახის წევრისათვის მართვის უფლების გადაცემით ავტომობილის მისაღებად სამამულო ომის პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდთა შემოწმებისას საექიმო-შრომითი საექს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პერტო კომისია, მანქანის ტარების სამედიცინო ჩვენებებისა და საწინააღმდეგო ჩვენებების გარდა, განსაზღვრავს იმასაც, შეუძლია თუ არა ინვალიდს ისარგებლოს ავტომობილით მისი ჯანმრთელობის მდგომარეობისათვის ზიანის მიუყენებლად.

დასკვნას იმის შესახებ, რომ ინვალიდის ოჯახის წევრს არა აქვს ავტომობილის ტარების საწინააღმდეგო ჩვენებები, გასცემს სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება".

„13. საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიის დასკვნა ხელით სამართავი ავტომობილის ან მოტოციკლის ტარების სამედიცინო ჩვენებების არსებობისა და საწინააღმდეგო ჩვენებების არარსებობის შესახებ ძალაშია 2 წლის მანძილზე მისი გამოტანის დღიდან. ინვალიდის ხელახლა შემოწმება ხელით სამართავი ავტომობილისა და მოტოციკლის გამოცვლის საკითხის გადასაწყვეტად ხდება მათი ექსპლუატაციის დაწესებული ვადის გასვლის შემდეგ.

სამამულო ომის ინვალიდს უფასოდ მიღებული ავტომობილი „ზაპოროჟეცი" ექსპლუატაციის დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ გამოეცვლება ხელახალი შემოწმების გარეშე საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიის მიერ ავტომობილის ან მოტოციკლის მიღების სამედიცინო ჩვენებების არსებობის შესახებ ადრე გამოტანილი დასკვნის საფუძველზე. ავტოტრანსპორტის მართვისათვის, იარგისობის შესახებ მძოლოთა სამედიცინო კომისიის დასკვნის გათვალისწინებით. ასევე ხელახალი შემოწმების გარეშე მიეცემათ ან მიეყიდებათ სატრანსპორტო საშუალებები ყველა კატეგორიის ინვალიდებს, რომელთაც აქვთ საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის შეუქცევადი ხასიათის გამოხატული დაზიანებანი (ქვემო კიდურების ამპუტაცია და დამბლა).

ინვალიდთა პერიოდულ ხელახალ შემოწმებას იმის დასადგენად, რომ არა აქვთ ხელით სამართავი ავტომობილისა და მოტოციკლების ტარების საწინააღმდეგო ჩვენებები, მოახდენენ სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებები სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად".

„15. ხელით სამართავი „ზაპოროჟეცის" მარკის ავტომობილს ინვალიდს უფასოდ აძლევს შესაბამისად საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო, აფხაზეთის ასსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო, აჭარის ასსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება ექსპლუატაციის შვიდი წლის ვადით, გაყიდვისა და სხვა პირთათვის გადაცემის უფლების გარეშე.

ექსპლუატაციის ვადის გასვლის შემდეგ უფასოდ გაცემული „ზაპოროჟეცის" მარკის ავტომობილი უნდა გასაღდეს დადგენილი წესით.

ხელით სამართავი ავტომობილი, მოტოციკლი ინვალიდს პირადი მართვის უფლებით მიეცემა იმ შემთხვევაში, თუ აქვს მართვის უფლების დამადასტურებელი მოწმობა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

"17. ინსტრუქციის მე-14 პუნქტით გათვალისწინებულ პირველ- და მეორე ჯგუფის ინვალიდებს (შენიშვნაში აღნიშნულ პირთა გარდა), რომლებსაც აქვთ ხელით სამართავი ავტომობილის ან მოტოეტლის მიცემის უფლების სამედიცინო ჩვენება და ავტომობილის მართვის საწინააღმდეგო ჩვენება, „ზაპოროჟეცის" მარკის ავტომობილს უფასოდ აძლევს სოციალური უზრუნველყოფის ორგანო ცალკეულ შემთხვევაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით, თუკი ინვალიდის მოსამსახურებლად ავტომობილის მართვა შეუძლია და ამის დასადასტურებელი მართვის უფლების მოწმობა აქვს მასთან მუდმივად მცხოვრებ ოჯახის წევრს".

„29. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო, აფხაზეთის ასსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო, აჭარის ასსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება რესპუბლიკური საოლქო, საქალაქო ცენტრალური საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების გადაწყვეტილებას ინვალიდისათვის ავტომობილის ან მოტოეტლის მიკუთვნების შესახებ შეტყობინების სახით (დანართი № 7) შესაბამისად უგზავნის სახალხო დეპუტატთა საქალაქო (რაიონული) საბჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებას და აძლევს ავტომობილის ან მოტოეტლის საჭირო ფონდს.

სახალხო დეპუტატთა საქალაქო (რაიონული) საბჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებას აღრიცხვაზე აჰყავს ინვალიდი, გამოიძახებს მას რიგის მიხედვით, მოატანინებს საჭირო საბუთებს და ჩააბარებს სახალხო დეპუტატთა საქალაქო (რაიონული) საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ან მისი მოადგილის მიერ ხელმოწერილ განკარგულებას ავტობაზიდან ავტომობილის ან მოტოეტლის მისაღებად.

სახალხო დეპუტატთა საქალაქო (რაიონული) საბჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების გამგე სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს უგზავნის ცნობას ავტობაზიდან ინვალიდის მიერ ავტომობილის ან მოტოეტლის მიღების შესახებ და ცნობის ასლს ურთავს ინვალიდის საპენსიო საქმეს".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ზ. ჩხეიძე**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1988 წ. 13 იანვარი, № 8

ეროვნული ბიბლიოთეკა

8 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 10 ნოემბრის № 1268 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ზოგიერთ საკითხზე სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 10 ნოემბრის № 1268 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი, № 1 და 2 თანდართული ნუსხების თანახმად.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 10 ნოემბრის № 1268 დადგენილებით ძალადაკარგულად ჩაითვალა:

— 1-ლი, მე-3 და მე-6 პუნქტები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 4 მაისის № 861 დადგენილებისა „მოკავშირე რესპუბლიკების მეურნეობის სახელმწიფო დაგეგმვისა და დაფინანსების წესის შეცვლის შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 28 მაისის № 308 დადგენილებით;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 19 სექტემბრის № 1154 განკარგულებით დაგზავნილი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 9 აგვისტოს № 1430 დადგენილება „საწარმოების დირექტორთა უფლებების გაფართოების შესახებ“, ამასთან შენარჩუნებულია აღნიშნული დადგენილების მოქმედების გავრცელება შესაბამისი საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიმართ კანონმდებლობით დადგენილი წესით სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე მათ გადაყვანამდე;

— 1-ლი პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 26 ოქტომბრის № 842 დადგენილებისა „საწარმოთა და ორგანიზაციათა სახსრების ხარჯზე აშენებულ საცხოვრებელ ფართობში ჩასახლების წესის შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 17 ნოემბრის № 635 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1988 წ. 19 იანვარი, № 14

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1988 წლის 19 იანვრის № 14 დადგენილებით

ნუსხა № 1

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ძალადაკარგული დადგენილებისა, დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ზოგიერთ საკითხზე

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 14 აგვისტოს № 651 დადგენილება „სამრეწველო საწარმოების მიერ წარმოების გეგმის გადაჭარბებით შესრულების დროს მათთვის ხელფასის სახსრების მიცემის წესის შესახებ“.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 7 აგვისტოს № 427 დადგენილება „საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს სისტემის კავშირგაბმულობის საექსპლუატაციო საწარმოებისა და საწარმოო-ტექნიკური სამმართველოების დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანის შესახებ“.

3. მე-2 პუნქტი და მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მეორე აბზაცი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 16 ნოემბრის № 788 დადგენილებისა „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 7 სექტემბრის № 727 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლისა და ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“, აგრეთვე ამავე დადგენილების მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადაყვანილ საწარმოთა და გაერთიანებათა ნაწილში.

4. მე-6 პუნქტის მესამე აბზაცი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 20 ივნისის № 427 დადგენილებისა „1979-1980 წლებში მასობრივი მოთხოვნილების საქონლის წარმოების გადიდების შესახებ“.

5. 42-ე და 43-ე პუნქტები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 5 ნოემბრის № 800 დადგენილებისა „საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ“.

6. 1-ლი და მე-2 პუნქტები, მე-3 პუნქტის მეორე აბზაცი, მე-10 პუნქტის მესამე და მეოთხე აბზაცები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 15 აგვისტოს № 535 დადგენილებისა „საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში მატერიალური რესურსების ეკონომიურად ხარჯვის ღონისძიებათა შესახებ“.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 16 აგვისტოს № 618 დადგენილება „საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკურ და რესპუბლიკურ სამინისტროთა, უწყებათა მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ერთიანი ფონდების ანარიცხების ხარჯზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახსრების რეზერვის შექმნისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“.

8. მე-11 პუნქტი, მე-19 პუნქტის მეორე აბზაცი, მე-20 პუნქტის პირველი და მეოთხე აბზაცები, 25-ე, 26-ე, 29-ე, 30-ე, 37-ე და 38-ე პუნქტები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 2 მარტის № 76 დადგენილებისა „საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის გამომცემლობების, საწარმოო გაერთიანე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბების (საწარმოების) და მომარაგების საწარმოების მეურნეობის ... ახალ პირობებზე გადაყვანის შესახებ“.

9. მე-7 პუნქტის მეორე, მესამე და მეოთხე აბზაცები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 14 ნოემბრის № 708 დადგენილებისა „საქართველოს სსრ სამრეწველო სამინისტროთა და უწყებათა სისტემაში საფირმო ვაჭრობის შემდგომი განვითარების შესახებ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1988 წლის 19 იანვრის № 14 დადგენილებით

ნუსხა № 2

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ზოგიერთ საკითხზე, რომლებმაც ძალა დაკარგეს სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადაყვანილ საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა ნაწილში

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 26 ნოემბრის № 701 დადგენილება „საწარმოების ეკონომიკური სტიმულირების სისტემის გაუმჯობესებისა და ახალი ტექნიკის შექმნა-დანერგვით მუშაკთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერების შესახებ“.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 30 ივნისის № 380 დადგენილება „სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულების საქართველოს სსრ რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების სამშენებლო ორგანიზაციების მიმართ გამოყენების თავისებურებათა შესახებ“, ამასთან შენარჩუნებულ იქნეს აღნიშნული დადგენილების მოქმედების გავრცელება შესაბამისი საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიმართ სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე მათ გადაყვანამდე.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 17 ნოემბრის № 633 დადგენილება „საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოების დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანის შესახებ“.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 19 სექტემბრის № 585 დადგენილება „დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანილი საწარმოების მუშაობისა და მრეწველობის დარგების ახალ სისტემაზე შემდგომი გადაყვანის ღონისძიებათა შესახებ“.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 28 ოქტომბრის № 549 დადგენილება „წარმოების დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალი სისტემის გამოყენების პრაქტიკის გაუმჯობესების ზომების შესახებ“, მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის გარდა.

6. მე-13 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მეოთხე და მეხუთე აბზაცები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 12 აგვისტოს № 423 დადგენილებისა „საქართველოს სსრ მოსახლეობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოებისა და დაწესებულებების სათბობით მომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 3 ნოემბრის № 705 დადგენილება „მრეწველობაში საშუალო ხელფასის ზრდასთან შედარებით შრომის ნაყოფიერების უპირატესი ზრდის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“.

8. მე-8 პუნქტის პირველი, მეორე, მეოთხე, მეხუთე და უკანასკნელი აბზაცები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 28 ნოემბრის № 740 დადგენილებისა „საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1987 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ“.

9 „სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ“ სსრ კავშირის კანონთან და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 6 იანვრის № 15 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის ცალკეულ გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის თაობაზე

„სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ“ სსრ კავშირის კანონთან და „მარცვლისა და ჯიშიანი თესლის ოპერაციების დაფინანსების საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის ცალკეულ გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 6 იანვრის № 15 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ პურპროდუქტების სამინისტროს სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადაყვანილი გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიმართ მე-14 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 26 დეკემბრის № 648 დადგენილებისა „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1973 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ“ და 25-ე პუნქტის მეორე აბზაცი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 25 დეკემბრის № 690 დადგენილებისა „საქართველოს სსრ 1975 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ.თბილისი, 1988 წ. 19 იანვარი, № 15

10 სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 18 ნოემბრის № 1301 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ“ სსრ კავშირის კანონთან და „დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ზოგიერთ საკითხზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 18 ნოემბრის № 1301 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

ადგენს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

მე-12 პუნქტის მეხუთე და მეათე აბზაცები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 18 აგვისტოს № 569 დადგენილებისა „1983-1990 წლებში საქართველოს სს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და მოწყობილობის ტექნიკური დონისა და ხარისხის შემდგომი ამაღლების, მათი გამოყენების გაუმჯობესებისა და წარმოების გადიდების ღონისძიებათა შესახებ“;

მე-2 პუნქტის მეშვიდე-მეთორმეტე აბზაცები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 18 აპრილის № 297 დადგენილებისა „სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 22 თებერვლის № 180 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 18 აგვისტოს № 569 დადგენილების მე-12 პუნქტის მეექვსე აბზაცის ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1988 წ. 19 იანვარი № 16

ეროვნული ბიბლიოთეკა

11 პროფესორ ს. ზ. ქურდიანის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, ბუნების დიდი მოამაგის სოლომონ ზაქარიას ძე ქურდიანის ხსოვნის უკვდავყოფის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. 1988 წლის აპრილში გაიმართოს პროფესორ ს. ზ. ქურდიანის დაბადების 120 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა.

2. დაწესდეს:

ა) ს. ზ. ქურდიანის სახელობის ერთი სტიპენდია საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტისათვის დამტკიცებული სასტიპენდიო ფონდის ფარგლებში;

ბ) ს. ზ. ქურდიანის სახელობის პრემია საუკეთესო სამეცნიერო ნაშრომებისათვის ტყეთმცოდნეობასა, მეტყევეობასა, ტყის კულტურებსა და სატყეო სელექცია-მეთესლეობაში.

3. მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალს მიენიჭოს პროფესორ ს. ზ. ქურდიანის სახელი.

4. მიენიჭოს ს. ქურდიანის სახელი ქ. თბილისისა და ქ. საგარეჯოს ერთ-ერთ ქუჩას.

5. მიენიჭოს ქ. საგარეჯოს III საშუალო სკოლას ს. ქურდიანის სახელი.

6. საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა გამოსცეს საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისა და ვ. გულისაშვილის სახელობის სამთო მეტყევეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ მომზადებული პროფესორ ს. ზ. ქურდიანის რჩეული შრომების კრებული.

7. საქართველოს სსრ რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტმა მოამზადოს სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი ს. ზ. ქურდიანის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ზ. ჩხეიძე**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1988 წ. 22 იანვარი, № 20

12 საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის რ. რ. დვალის სახელობის სტიპენდიის დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს შუამდგომლობა და დაწესდეს საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში აკადემიკოს რ. რ. დვალის სახელობის ერთი სტიპენდია დამტკიცებული სასტიპენდიო ფონდის ფარგლებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ზ. ჩხეიძე**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1988 წ. 20 იანვარი, № 21

13 საქართველოს სს რესპუბლიკაში კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის მოსაწყობად მიწის ნაკვეთების შერჩევისა და გამოყოფის წესის თაობაზე დებულების დამტკიცების, აგრეთვე ქალაქ თბილისის მოსახლეობისათვის ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის განსახორციელებლად მიწის ნაკვეთების გამოყოფისა და საქართველოს სსრ მებაღეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების შესახებ

„საქართველოს სს რესპუბლიკაში მოქალაქეთა პირადი დამხმარე მეურნეობების, კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის განვითარების დამატებით ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 15 დეკემბრის № 615 დადგენილების მე-5 პუნქტის შესასრულებლად და საქართველოს სსრ მებაღეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სს რესპუბლიკაში მუშა-მოსამსახურეთა კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის მოსაწყობად მიწის ნაკვეთების შერჩევისა და გამოყოფის წესის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 22 ივნისის № 603 განკარგულება და ამ განკარგულებით დამტკიცებული დროებითი დებულება საქართველოს სს რესპუბლიკაში მუშა-მოსამსახურეთა კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის მოსაწყობად მიწის ნაკვეთების შერჩევისა და გამოყოფის წესის შესახებ.

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტმა და საქართველოს მიწათმოწყობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტმა ერთი კვირის ვადაში გადასცენ დადგენილი წესით სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასკომებს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 15 დეკემბრის № 615 დადგენილებით დამტკიცებულ კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის მოსაწყობად გამოყოფილი მიწის ნაკვეთების განლაგების სქემაში შესული მიწების მთელი დოკუმენტაცია (რუკები, სქემები და სხვა მასალები), ხოლო სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასკომებმა 1988 წლის 1 ივნისამდე დაამთავრონ მათი გამოყოფა იმ სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, რომლებსაც სურთ მოაწყონ კოლექტიური მებაღეობა და მებოსტნეობა.

4. ქალაქ თბილისის მოსახლეობის საცხოვრებლით დაკმაყოფილების პრობლემის დიდი მნიშვნელობის გათვალისწინებით და მისი დადებითად გადაწყვეტის მიზნით მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს, მცხეთის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის წინადადება და გამოეყოს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს 500 ჰექტარი ფართობი, მათ შორის გლდანის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მიწებიდან — 200 ჰექტარი, დიღმის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მიწებიდან — 300 ჰექტარი, აქედან სოფელ ლისის მიდამოებში — 200 ჰექტარი და სოფელ დიდგორის მიდამოებში — 100 ჰექტარი, იმ მოქალაქეთათვის გასანაწილებლად, რომელთაც გამოთქვეს სურვილი მოიხსნან ქალაქ თბილისში საბინაო პირობების გაუმჯობესების აღრიცხვიდან და ააშენონ სახლები სოფლად გათვალისწინებული ინდივიდუალური პროექტების მიხედვით.

დაწესდეს, რომ თითოეულ ოჯახს გამოეყოფა 800 კვადრატულ მეტრამდე ფართობის მიწის ნაკვეთები.

5. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა (ამხ. ანდრიაძე) საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, საქართველოს სსრ სახმშენთან, საქართველოს სსრ სახმომარაგებასთან, სსრ კავშირის შემნახველი ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ ბანკთან, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსთან, ცეკავშირის გამგეობასთან და სხვა დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან, აგრეთვე მცხეთის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომთან ერთად ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და წარმოუდგინოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ამ დადგენილებით გათვალისწინებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის, მისი დაკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედიტების საკითხების, აგრეთვე იურიდიული ხასიათის საკითხების, მარეგულირებელი დადგენილებისა და ტიპობრივი დებულების პროექტები.

6. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი საქართველოს სსრ მებაღეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ბაზის მშენებლობის შემდგომი დაფინანსების შესახებ, ამსათან მხედველობაში იქონიოს მისი დამთავრება 1988-1989 წლებში.

7. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ სახმომარაგებამ გაითვალისწინონ წლიურ გეგმებში საქართველოს სსრ მებაღეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭოსათვის სამშენებლო ტექნიკისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებათა გამოყოფა დამტკიცებული გეგმებისა და ნორმატივების შესაბამისად.

8. საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტმა:

— გადასცეს საქართველოს სსრ მებაღეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭოს რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქნერგის“ საშენ მასალათა ბაზა კასპის რაიონში ამჟამად საშენი ბლოკების ბაზის მშენებლობისათვის დაკავებული ტერიტორიის განთავისუფლებით;

— გაითვალისწინოს წლიურ გეგმებში საქართველოს სსრ მებაღეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭოსათვის ავტოსატრანსპორტო საშუალებათა სამარაგო ნაწილებისა და კვანძების გამოყოფა.

9. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ყოველწლიურად გაითვალისწინოს საქართველოს სსრ მებაღეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭოს თანამშრომელთათვის 5-5 ბინის გამოყოფა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივთა მშენებარე სახლებში.

10. საბაღე სახლების, სამეურნეო ნაგებობათა მშენებლობის და მებაღეობისა და მებოსტნეობის ამხანაგობათა ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოთა კოორდინაციის მიზნით დაევალოთ რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ სამშენებლო ორგანიზაციებს რეგისტრაციაში გაატარონ საქართველოს სსრ მებაღეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭოში ხელშეკრულებანი ზემოაღნიშნულ სამუშაოთა შესასრულებლად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ზ. ჩხეიძე**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1988 წ. 22 იანვარი, № 22

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1987 წლის 22 იანვრის № 22 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ რესპუბლიკაში კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის მოსაწყობად მიწის ნაკვეთების შერჩევისა და გამოყოფის შესახებ

I. კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობისათვის მიწის ნაკვეთების შერჩევის წესი

1. კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის მოსაწყობად მიწის ნაკვეთების შერჩევას ახორციელებს რაიონული კომისია შემდეგი შემადგენლობით: სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე (კომისიის თავმჯდომარე), აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე), რაიონის მთავარი (უფროსი) ინჟინერ-მიწათმომწყობი, რაიონის არქიტექტორი, საქართველოს მიწათმოწყობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის სპეციალისტი, საქართველოს სსრ მებაღეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭოს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის, ადგილობრივი სანიტარიული და ბუნებადაცვითი ორგანოების წარმომადგენლები, სახალხო დეპუტატთა სასოფლო (სადაბო) საბჭოს აღმასკომის, რაიონის (ქალაქის) სატყეო მეურნეობის (იმ შემთხვევაში, როცა მიწის ნაკვეთის შერჩევა გათვალისწინებულია ტყის ფონდის მიწებიდან), იმ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, რომელთა ტერიტორიაზეც გათვალისწინებულია მიწის ნაკვეთების შერჩევა.

იმ შემთხვევაში, როცა კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობისათვის მიწის ნაკვეთების შერჩევა ხორციელდება ქალაქების პერსპექტიული განვითარების ზონაში და ეს მიწები არ გადაეცემა ქალაქს, კომისიის შემადგენლობაში შეყვანილ უნდა იქნენ სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საქალაქო საბჭოს აღმასკომის წარმომადგენლები.

2. მიწის ნაკვეთების შერჩევისას კომისია ადგილზე ახდენს კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობისათვის შესარჩევი ფართობის დათვალიერებას, ხელმძღვანელობს რაიონული დაგეგმარების, შინასამეურნეო მიწათმოწყობის პროექტებით (სქემებით), ქალაქების, დასახლებული პუნქტების განაშენიანების გენერალური გეგმებით, ტყეთმოწყობის, ნიადაგების გამოკვლევისა და მიწების შეფასების მასალებით.

3. კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობისათვის შერჩეული მიწის ნაკვეთების საზღვრები აღინიშნება შესაბამისი მეურნეობის მიწათსარგებლობის გეგმაზე, ხოლო ტყის ნარგავების გეგმაზე განისაზღვრება ნაკვეთის საერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თო ფართობი და მიწების შედგენილობა, გეგმა მოწმდება სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის ხელმოწერითა და ბეჭდით.

თითოეული მიწათმოსარგებლის მიხედვით კომისიის მუშაობის შედეგები ფორმდება აქტით, რომელშიც აღინიშნება მიწის ნაკვეთის ადგილსამყოფელი, მისი სიდიდე, სავარგულების შემადგენლობა და ნიადაგობრივი პირობები, კონტურების რაოდენობა, მათი ფაქტიური გამოყენების მდგომარეობა, მანძილი უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე და რაიონულ ცენტრამდე, მახლობელ რკინიგზის სადგურამდე და ავტობუსის გაჩერებამდე, ნაკვეთის ათვისებისათვის (დაშრობა, მორწყვა, სხვა სამელიორაციო სამუშაოები) საჭირო სამელიორაციო სამუშაოთა მოცულობა, რეკულტივაციის, ტყისა და ბუჩქნარის ამოძირკვის სამუშაოთა მოცულობა. აქტს ხელს აწერენ კომისიის წევრები და მოწმდება სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის ბეჭდით.

კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობისათვის მიწის ნაკვეთების შერჩევის აქტს თან ერთვის — შესაბამისად — კოლმეურნეობის საერთო კრების (რწმუნებულთა კრების), საბჭოთა მეურნეობის დირექტორის, სატყეო მეურნეობის დირექტორის (როცა ნაკვეთი შეირჩევა სატყეო მეურნეობის მიწებიდან), რაიონის (ქალაქის) აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარის თანხმობა დასკვნის სახით.

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რაიონებში (საქალაქო საბჭოების ზონებში) ნაკვეთის შერჩევის აქტი დგება ხუთ ცალად, ხოლო სხვა რაიონებში (საქალაქო საბჭოების ზონებში) — ოთხ ცალად.

4. სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომი არა უგვიანეს 10 დღის ვადაში განიხილავს კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობისათვის ნაკვეთის შერჩევის საკითხს, იღებს გადაწყვეტილებას და უგზავნის მასალებს საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტსა და საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს (სატყეო მეურნეობის მიწებიდან ნაკვეთების შერჩევის შემთხვევაში).

5. აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რაიონების მიწებიდან ნაკვეთების შერჩევის მასალები 5 დღის ვადაში წარედგინებათ — შესაბამისად — ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტებს, ავტონომიური ოლქის აგროსამრეწველო კომიტეტსა და საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს (სატყეო მეურნეობის მიწებიდან ნაკვეთების შერჩევის შემთხვევაში), რომლებიც შესაბამისად უთანხმებენ საკითხს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სახმშენებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა განყოფილებას, რის შემდეგაც ამზადებენ დასკვნას და დადგენილების პროექტს ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის სხდომისათვის, რომლებიც განიხილავენ მიწის ფართობების შერჩევის საკითხს არა უგვიანეს 10 დღის ვადაში და უგზავნიან მასალებს საქართველოს

სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტსა და საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს (სატყეო მეურნეობის მიწებიდან ნაკვეთების შერჩევის შემთხვევაში).

6. საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტი საქართველოს სსრ მებაღეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭოსთან და საქართველოს მიწათმოწყობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტთან ერთად მიწის ნაკვეთების შერჩევის მასალებს უთანხმებს:

— საქართველოს სსრ სახმშენს;

— საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტს (საჭიროების შემთხვევაში);

— საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრს;

— საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს (იმ შემთხვევაში, თუ მიწის ნაკვეთები შეირჩევა სატყეო მეურნეობის მიწებიდან);

— სამინისტროებსა და უწყებებს, რომელთაც ექვემდებარება მიწათმოსარგებლე, რომლის მიწებიდან ხორციელდება ნაკვეთის შერჩევა.

7. საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტი და საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრო საქართველოს სსრ მებაღეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭოსთან და საქართველოს მიწათმოწყობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტთან ერთად განიხილავენ კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობისათვის მიწის ფართობების შერჩევის მასალებს, შეიმუშავებენ კოლექტიური ბაღებისა და ბოსტნების განლაგების სქემებს და წარუდგენენ მათ დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

8. საქართველოს მიწათმოწყობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტი, შესაბამისი რაიონების (ქალაქების) სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები და საქართველოს სსრ მებაღეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ კოლექტიური ბაღებისა და ბოსტნების განლაგების სქემების დამტკიცების შემდეგ, შეადგენენ რა თითოეული მიწათმოსარგებლის მიხედვით შესაბამის აქტს, ახდენენ კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობისათვის შერჩეული მიწის ნაკვეთების გამიჯვნას ადგილზე (მიჯნის ნიშნებით).

9. საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტი ბაღებისა და ბოსტნების განლაგების დამტკიცებული სქემის თითო ცალს (ასლს) უგზავნის (თანდართული მასალებითურთ) იმ რაიონების (ქალაქების) სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, რომელთა ტერიტორიაზეც მდებარეობს მიწის ნაკვეთები, საქართველოს სსრ მებაღეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭოსა და საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს (თუ სქემაში შევიდა მისი მიწები).

იმ შემთხვევაში, თუ მიწის ნაკვეთები შერჩეულია აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე, სქემების ასლები ეგზავნებათ — შესაბამისად — აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინისტრთა საბჭოებს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომს.

II. დამტკიცებული სქემის შესაბამისად მუშა-მოსამსახურეთა კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის მოსაწყობად მიწის ნაკვეთების გამოყოფის წესი

1. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებული სამინისტროები, უწყებები, საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები ადგენენ მებაღეობის ან მებოსტნეობის ამხანაგობაში შესვლის მსურველთა, აგრეთვე ამ საწარმოებიდან, ორგანიზაციებიდან და დაწესებულებებიდან წასულ პენსიონერთა პერსონალურ სიებს, რომლებიც წარადგენენ ძირითად სამუშაო ადგილზე შემდეგ ცნობებს:

— საცხოვრებელი ადგილიდან — ოჯახის წევრთა შემადგენლობის, ასაკისა და საქმიანობის აღნიშვნით;

— ქალაქის (დაბის) ტექაღრიცხვის ბიუროდან — იმის შესახებ, რომ მას და მისი ოჯახის სრულწლოვან წევრებს ქალაქის (დაბის) ტერიტორიაზე არა აქვს მიწის ნაკვეთები, ხოლო თუ აქვთ, რამდენი და რა ზომის;

— სამუშაო ადგილიდან — იმის შესახებ, რომ იგი და მისი ოჯახის სრულწლოვანი წევრები თავიანთ ორგანიზაციებში არ არიან მებაღეობის ან მებოსტნეობის ამხანაგობათა წევრები.

2. სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასკომები დამტკიცებული სქემის შესაბამისად ერთი თვის ვადაში განაცხადების შემოსვლის დღიდან გამოუყოფენ სამინისტროებს, უწყებებს, საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს მიწის ნაკვეთებს კოლექტიური მებაღეობის მოსაწყობად, საჭიროების შემთხვევაში ახორციელებენ მებაღეობისა და მებოსტნეობის იმ ამხანაგობათა კოოპერირებას, რომელთა წევრების რიცხვი 30-ზე ნაკლებია. გადაწყვეტილება მიწის ნაკვეთების გამოყოფის შესახებ ეგზავნება აგროკოოპს სარეგისტრაციოდ.

3. გამოყოფილ მიწის ფართობს აქტით გადასცემენ საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას სახალხო დეპუტატთა შესაბამისი რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასკომების მიწათმოწყობის სამსახური და საქართველოს სსრ მებაღეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭო.

14 **სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 1 დეკემბრის 1367 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლისა და შეცვლის შესახებ**

„სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ“ სსრ კავშირის კანონთან და „შრომისა და ხელფასის საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ჩათვლისა და შეცვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 1 დეკემბრის № 1367 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 7 თებერვლის № 163 დადგენილება „მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების სამრეწველო კომბინატების შტატების დამტკიცების შესახებ“;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 16 ოქტომბრის № 1482 დადგენილება „რაიონული და საქალაქო სამრეწველო კომბინატების ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის ტიპობრივ შტატებში ცვლილებათა შეტანის შესახებ“;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 16 დეკემბრის № 1990 დადგენილება „მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურების რესპუბლიკური ტრესტის მუშაკთა ტიპობრივი შტატებისა და თანამდებობრივი განაკვეთების და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურების ტიპობრივი შტატების შესახებ“;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 6 იანვრის № 1 დადგენილება „საქართველოს სსრ სამრეწველო საწარმოებში წარმოების მართვის უსაამქრო სტრუქტურის დანერგვის შესახებ“;

— 35-ე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მესამე აბზაცი და „დ“ ქვეპუნქტის მეორე აბზაცი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 1 დეკემბრის № 770 დადგენილებისა „საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1983 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ“ სრულ სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსებაზე გადაყვანილ საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა ნაწილში.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 1 დეკემბრის № 1367 დადგენილებით შეტანილ იქნა ცვლილებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 24 იანვრის № 67 დადგენილებით დაგზავნილი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 11 დეკემბრის № 1094 დადგენილებით დამტკიცებული სამრეწველო საწარმოს (გაერთიანების) ტექნიკური კონტროლის განყოფილების (სამმართველოს) ტიპობრივი დებულების მე-6 პუნქტში და იგი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„6. სამრეწველო საწარმოს (გაერთიანების) ტექნიკური კონტროლის განყოფილებას სათავეში უდგას განყოფილების უფროსი, რომელიც არის საწარმოს (გაერთიანების) დირექტორის (ხელმძღვანელის) მოადგილე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწარმოს (გაერთიანების) ტექნიკური კონტროლის განყოფილების ინჟინერ-ინსპექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საწარმოს (გაერთიანების) დირექტორი (ხელმძღვანელი) და შემდგომ ამტკიცებს ზემდგომი ორგანო".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1988 წ. 3 თებერვალი, № 30

15 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 26 ნოემბრის № 1330 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების შეცვლისა და ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„სახალხო მეურნეობის საწარმოო დარგების მუშაკთა პრემირების საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების შეცვლისა და ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 26 ნოემბრის № 1330 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. შეტანილ იქნეს „მოსავლის დროულად აღებით სახელმწიფო საავტომობილო მეურნეობათა იმ შოფრებისა და სხვა მუშაკების მატერიალური დაინტერესების გაძლიერების შესახებ, რომლებიც დასაქმებული არიან სასოფლო-სამეურნეო ტვირთების გადაზიდვაზე" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 31 აგვისტოს № 566 დადგენილების 1-ლ პუნქტში შემდეგი ცვლილებანი:

ა) „ა" ქვეპუნქტის პირველ აბზაცში ამოღებულ იქნეს სიტყვები: „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 11 აგვისტოს № 896 დადგენილების მე-8 მუხლით გათვალისწინებული";

ბ) „ა" ქვეპუნქტის მესამე აბზაცში სიტყვები: „დავალებათა ხარისხიანად წესრულებისათვის დანიშნულ ვადაში და ვადამდე, რომლებიც გათვალისწინე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 11 აგვისტოს № 896 დადგენილების მე-8 მუხლით“ შეიცვალოს სიტყვებით: „ძირითად სამუშაო ადგილზე საქმიანობის ძირითადი შედეგებისათვის“;

გ) ძალადაკარგულად ჩაითვალოს „ბ“ ქვეპუნქტი.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი თანდართული ნუსხის თანახმად.

3. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 26 ნოემბრის № 1330 დადგენილებით:

ა) შეტანილია შემდეგი ცვლილებანი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1985 წლის 13 ივნისის № 406 დადგენილებით დაგზავნილ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1985 წლის 24 იანვრის № 87 დადგენილებაში „მშენებლობაში შრომის ორგანიზაციის, ანაზღაურებისა და სტიმულირების სისტემის სრულყოფის შესახებ“:

— მე-10 პუნქტში:

პირველ აბზაცში სიტყვები: „ერთ მუშაკს შეიძლება მიეცეს მათი ამოქმედებისათვის პრემია ექვს თვემდე თანამდებობრივი სარგოს (სატარიფო განაკვეთის) ოდენობით“ შეიცვალა სიტყვებით: „ერთ ხელმძღვანელ მუშაკს, სპეციალისტსა და მოსამსახურეს შეიძლება მიეცეს მათი ამოქმედებისათვის პრემია მშენებლობის ობიექტებისა და საწარმოო სიმძლავრეთა დროულად და ხარისხიანად ამოქმედებისა და სამეურნეო საქმიანობის სხვა ძირითადი შედეგებისათვის გათვალისწინებული პრემიის საერთო თანხის 65 პროცენტის ოდენობით“, აგრეთვე ამოღებულია სიტყვები: „(სატარიფო განაკვეთის)“;

ძალადაკარგულად ჩაითვალა მეორე აბზაცი;

პუნქტს დაემატა შემდეგი შინაარსის აბზაცი:

„ამასთან ხელმძღვანელ მუშაკებს პრემიები სამეურნეო საქმიანობის სხვა ძირითადი შედეგებისათვის მიეცემათ მშენებლობის ობიექტებისა და საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედების დავალებათა მხოლოდ 100 პროცენტით შესრულებისას. ამ დავალებათა შეუსრულებლობისას სამეურნეო საქმიანობის სხვა ძირითადი შედეგებისათვის დარიცხული პრემიების 50 პროცენტი რჩება რეზერვში და გაიცემა იმ პირობით, თუ მშენებლობის ობიექტებისა და საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედების ჩამორჩენა შეივსება მიმდინარე წლის ბოლომდე“;

მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„11. მშენებლობის ობიექტებისა და საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედებისათვის პრემიები მიეცემათ სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციათა, აგრეთვე როგორც საიჯარო, ისევე სამეურნეო წესით განსახორციელებელ მშენებლობათა, შემკვეთ (მენაშენე) ორგანიზაციათა და საპროექტო ორგანიზაციათა მუშაკებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშენებლობის ობიექტებისა და საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედებისათვის პრემირების სახსრების საერთო თანხიდან მიეცემათ:

ახალი მშენებლობის (აგრეთვე მოქმედ საწარმოთა გაფართოების) ობიექტების მიხედვით — არანაკლებ 92,5 პროცენტი სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებს, 2,5 პროცენტამდე შემკვეთს და 5 პროცენტამდე საპროექტო ორგანიზაციებს;

სარეკონსტრუქციო წარმოებების (საწარმოების) მიხედვით და მოქმედ წარმოებათა (საწარმოთა) ტექნიკური კვლავაღჭურვის სამუშაოების შესრულებისათვის — არანაკლებ 90 პროცენტი სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებს, 5 პროცენტამდე შემკვეთს და 5 პროცენტამდე საპროექტო ორგანიზაციებს;

ქიმიური, ნავთობქიმიური, ნავთობგადასამუშავებელი, სატყეო-ქიმიური, ცელულოზა-ქაღალდის, ჰიდროლიზის, კოქსქიმიური, ფიქალქიმიური, ქიმიურ-ფარმაცევტული მრეწველობისა და კინოფოტომასალების მრეწველობის საცდელი და საცდელ-სამრეწველო დანადგარების მიხედვით — არანაკლებ 90 პროცენტი სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებს, 5 პროცენტამდე შემკვეთს (სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, საკონსტრუქტორო ბიუროებს, საწარმოებს) და 5 პროცენტამდე საპროექტო ორგანიზაციებს.

მშენებლობის ობიექტებისა და საწარმოო სიმძლავრეთა დაწესებულ ვადაში ან ვადამდე ამოქმედებისათვის საპროექტო ორგანიზაციების მუშაკთა პრემირებისათვის გადასარიცხი სახსრების თანხას განსაზღვრავს შემკვეთი გენერალურ მოიჯარესთან ერთად.

დაწესდეს, რომ მშენებლობის ობიექტებისა და საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედებისათვის პრემირების სახსრები გათვალისწინებული ოდენობით შეიტანება მშენებლობის ხარჯთაღრიცხვებში. აღნიშნული სახსრები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა მიზნებისათვის.

მშენებლობის ობიექტებისა და საწარმოო სიმძლავრეთა დაწესებულ ვადაში და ვადამდე ამოქმედებისათვის პრემირების სახსრები შემკვეთმა უნდა გადარიცხოს ერთი თვის ვადაში ობიექტებისა და სიმძლავრეთა საექსპლუატაციოდ მიღების აქტების დადგენილი წესით დამტკიცების შემდეგ. საჭირო შემთხვევებში ამ სახსრების გადარიცხვის ერთი თვის ვადა შეიძლება გააგრძელოს შემკვეთმა გენერალურ მოიჯარესთან შეთანხმებით.

თუ მშენებლობის ობიექტებისა და საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედების ვადები მშენებლობის ხანგრძლივობის დაწესებულ ნორმებთან შედარებით შემცირდება არანაკლებ 30 პროცენტით, პრემირების სახსრების საერთო თანხა გადიდდება 50 პროცენტით, თუ ვადები შემცირდება 20 პროცენტით, პრემირების სახსრების საერთო თანხა გადიდდება 25 პროცენტით და თუ ვადები შემცირდება 10 პროცენტით, პრემირების სახსრების საერთო თანხა გადიდდება 10 პროცენტით. აღნიშნული სახსრები გადაირიცხება პრემირებისათვის მშენებლობის ღირებულების დამტკიცებული კრებსითი სახარჯთაღრიცხვო გაანგარიშების ფარგლებში“;

— ძალადაკარგულად ჩაითვალა მე-18 პუნქტი პრემირების მაჩვენებლების, ოდენობისა და ვადების ნაწილში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ძალადაკარგულად ჩაითვალა:

— მე-7 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 26 მაისის № 1740 დადგენილებისა „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს მანქანა-ტრაქტორთა სადგურებსა, საბჭოთა მეურნეობებსა, კოლმეურნეობებსა, აგროუბნებსა და ზოოვეტუბნებში მომუშავე სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა ხელფასისა და დაჯილდოების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 7 ივნისის № 555 დადგენილებით;

— მე-8 და მე-9 პუნქტები, მე-13 პუნქტის მესამე და მეოთხე აბზაცები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 11 აგვისტოს № 896 დადგენილებისა „საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების მუშაკთა ხელფასის მოწესრიგების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 5 სექტემბრის № 629 დადგენილებით;

— მე-8 და მე-9 პუნქტები, მე-12 პუნქტის მეორე და მესამე აბზაცები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 8 ივნისის № 525 დადგენილებისა „საქალაქო ტრანსპორტის მუშაკთა ხელფასის მოწესრიგების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 19 აგვისტოს № 517 დადგენილებით;

— 1-ლი პუნქტის უკანასკნელი აბზაცი, მე-3 და მე-4 პუნქტები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 26 დეკემბრის № 1155 დადგენილებისა „ალსადგენად გამოსადეგი ნამუშევარი საკისარების შეგროვებისა და ჩაბარებისათვის საწარმოების, მეურნეობებისა და ორგანიზაციების მუშაკთა დაჯილდოების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 17 თებერვლის № 109 დადგენილებით, სახალხო მეურნეობის საწარმოო დარგების მუშაკთა პრემირების ნაწილში;

— 21-ე, 22-ე და 25-ე პუნქტები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს 1964 წლის 25 აგვისტოს № 81 დადგენილებისა „საწარმოების ეკონომიკური სტიმულირების სისტემის გაუმჯობესებისა და ახალი ტექნიკის შექმნა-დანერგვით მუშაკთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 26 ნოემბრის № 701 დადგენილებით, აგრეთვე ამ დადგენილების მე-19 და მე-20 პუნქტები მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის საწარმოების, „სოფტექნიკის“ რაიონული გაერთიანებების, განყოფილებებს საწარმოო ქვედანაყოფების და გეოლოგიურ-სადაზვერვო ორგანიზაციების მუშაკთა პრემირების ნაწილში;

— მე-9 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 6 ნოემბრის № 923 დადგენილებისა „სახალხო მეურნეობაში საბუღალტრო აღრიცხვის ორგანიზაციის სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და კონტროლის განხორციელებაში მისი როლის გაძლიერების ზომების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 13 იანვრის № 30 დადგენილებით, სახალხო მეურნეობის საწარმოო დარგების მუშაკთა პრემირების ნაწილში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— 23-ე პუნქტის მეორე და მესამე აბზაცები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 15 აპრილის № 247 დადგენილებისა „სახალხო მეურნეობაში ტარის განმეორებით გამოყენების გაუმჯობესების ზომებისა და ეკონომიური სახეობის ტარის წარმოების გადიდების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 12 ივნისის № 314 დადგენილებით;

— მე-10 პუნქტის პირველი და მეორე აბზაცები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 12 სექტემბრის № 729 დადგენილებისა „მარცვლეული და ზეთოვანი კულტურების მეთესლეობის გაუმჯობესების ზომების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 21 ნოემბრის № 591 დადგენილებით;

— მე-10 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 10 სექტემბრის № 790 დადგენილებისა „მოქალაქეთა კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის ორგანიზაციის გაუმჯობესების ზომების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 31 მარტის № 176 დადგენილებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 15 მაისის № 384 დადგენილების მე-3 პუნქტის მესამე აბზაცისა და მე-4 პუნქტის მოქმედების გავრცელების ნაწილში;

— მე-17 პუნქტის მეორე აბზაცი და მე-20 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 15 აპრილის № 282 დადგენილებით დაგზავნილი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 24 იანვრის № 59 დადგენილებით დამტკიცებული დებულებისა მთავარ ბუღალტერთა შესახებ სახალხო მეურნეობის საწარმოო დარგების მუშაკთა პრემიების ჩამორთმევის ნაწილში;

— მე-3 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 23 ოქტომბრის № 1083 დადგენილებისა „კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში მელიორირებული მიწების მაღალეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 24 იანვრის № 39 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ზ. ჩხეიძე**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1988 წ. 3 თებერვალი, № 31

ДАМТКИЦЕБУЛИ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1988 წლის 3 თებერვლის № 31 დადგენილებით

ნუსხა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ძალადაკარგული დადგენილებებისა სახალხო მეურნეობის საწარმოო დარგების მუშაკთა პრემირების საკითხებზე

1. მე-2 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 30 ივლისის № 838 დადგენილებისა „პრემიების ოდენობის ნაწილობრივ შემცირების შესახებ“.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 24 აგვისტოს № 952 დადგენილება „პრემიების ოდენობის ნაწილობრივ შემცირებასთან დაკავშირებით შექმნილი ეკონომიის ბიუჯეტის შემოსავალში გადარიცხვის შესახებ“.

3. მე-8 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 1 ივნისის № 312 დადგენილებისა „მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის“ კანონის შესრულებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შესახებ“.

4. მე-8 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 25 ივნისის № 424 დადგენილებისა „პროტექტორის დადების მეთოდით სალტეების აღდგენის ორგანიზაციის გაუმჯობესების ზომების შესახებ“ პრემიების ოდენობის, გაცემის წესისა და ვადების ნაწილში.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 25 სექტემბრის № 664 დადგენილება „სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმების შესრულებისა და გადაჭარბებით შესრულებისათვის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოების მუშაკთა დაჯილდოების შესახებ“.

6. მე-2 პუნქტის უკანასკნელი აბზაცი და მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 8 ოქტომბრის № 687 დადგენილებისა „სამკერვალო ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი ასორტიმენტის გაფართოების ღონისძიებათა შესახებ“, აგრეთვე ამ დადგენილების მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი პრემირების ნაწილში.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 31 ოქტომბრის № 754 დადგენილება „გერმანიუმის ნარჩენების შეგროვების, აღრიცხვის, წინასწარი დამუშავებისა და ჩაბარებისათვის საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკთა დაჯილდოების დებულების შესახებ“ სახალხო მეურნეობის საწარმოო დარგების მუშაკთა პრემიების ოდენობის, გაცემის წესისა და ვადების ნაწილში.

8. მე-3 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 28 ნოემბრის № 807 დადგენილებისა „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

2 ივნისის № 532 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ“.

9. მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მეორე და მესამე აბზაცები და „გ“ ქვეპუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 4 თებერვლის № 49 დადგენილებისა „1964 წელს თევზის მრეწველობის ფლოტის გემების რემონტის დაჩქარების ზომების შესახებ“.

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 12 ივნისის № 345 დადგენილება „იმის შესახებ, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს დაეკისროს დაჯილდოება ზეთოვანი კულტურების განვითარების საქმეში საუკეთესო მიღწევებისათვის“.

11. მე-7 პუნქტის უკანასკნელი აბზაცი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 21 აპრილის № 237 დადგენილებისა „მზესუმზირას თესლის წარმოებისა და შესყიდვის გადიდების ზომების შესახებ“.

12. მე-7 პუნქტის მეორე აბზაცი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 23 ივნისის № 392 დადგენილებისა „მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების მუშაობის გაუმჯობესების ზომების შესახებ“ სახალხო მეურნეობის საწარმოო დარგების მუშაკთა პრემირების ნაწილში.

13. მე-9 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 10 სექტემბრის № 548 დადგენილებისა „პირუტყვის გადამუშავების, ხორცისა და სხვა სწრაფფუჭებადი პროდუქტების დაბინავების და მაცივრების მშენებლობის დაჩქარების უზრუნველყოფის ზომების შესახებ“.

14. მე-10 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 8 თებერვლის № 65 დადგენილებისა „საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტით მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესების ზომების შესახებ“.

15. 1-ლი პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 20 იანვრის № 35 დადგენილებისა „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ზოგიერთი საბჭოთა მეურნეობის 1969 წელს სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის შესახებ“, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 11 ივლისის № 459 დადგენილების მე-13 პუნქტით გათვალისწინებული პრემირების ნაწილში.

16. 1-ლი და მე-2 პუნქტები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 7 მაისის № 253 დადგენილებისა „სოფლის მეურნეობის სამინისტროს 10 საბჭოთა მეურნეობის და ერთი მეფრინველეობის ფაბრიკის სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის შესახებ“, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 13 აპრილის № 319 დადგენილების მე-13 პუნქტით გათვალისწინებული პრემირების ნაწილში.

17. მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მეშვიდე აბზაცი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 27 აგვისტოს № 474 დადგენილებისა „სახალხო მეურნეობაში მეორეული ნედლეულის შეგროვების გადიდებისა და მისი გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

18. 1-ლი პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 26 იანვრის № 51 დადგენილებისა „საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს ზოგიერთი საბჭოთა მეურნეობის სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის შესახებ“, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 13 აპრილის № 319 დადგენილების მე-13 პუნქტით გათვალისწინებული პრემიების ნაწილში.

19. 1-ლი პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 24 თებერვლის № 88 დადგენილებისა „ზოგიერთი საბჭოთა მეურნეობისა და თბილისის მეფრინველეობის ფაბრიკის სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის შესახებ“, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 13 აპრილის № 319 დადგენილების მე-13 პუნქტით გათვალისწინებული პრემიების ნაწილში.

20. მე-6 პუნქტის „დ“ და „ი“ ქვეპუნქტები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 31 ივლისის № 470 დადგენილებისა „სოფლის მეურნეობაში დამხმარე საწარმოებისა და სარეწების საქმიანობის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ“, აგრეთვე მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი მატერიალური წახალისების ნაწილში.

21. მე-7 პუნქტის მეოთხე და უკანასკნელი აბზაცები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 15 აპრილის № 183 დადგენილებისა „ავტომობილების, ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების გაცვეთილი დეტალების შეგროვებით საწარმოების, ორგანიზაციებისა და კოლმეურნეობების დაინტერესების გაძლიერების და მათი აღდგენის დამატებით ღონისძიებათა შესახებ“.

22. მე-10 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 3 მარტის № 165 დადგენილებისა „ნამუშევარი ნავთობპროდუქტების შეგროვებისა და გამოყენების ორგანიზაციის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სახალხო მეურნეობის საწარმოო დარგების მუშაკთა პრემიების ნაწილში.

23. მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 2 ნოემბრის № 739 დადგენილებისა „შაქრის ჭარხლის ხარისხის გაუმჯობესების სტიმულირების ღონისძიებათა შესახებ“.

24. 35-ე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მესამე აბზაცი და „დ“ ქვეპუნქტის მეორე აბზაცი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 1 დეკემბრის № 770 დადგენილებისა „საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1983 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ“ სახალხო მეურნეობის საწარმოო დარგების გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ნაწილში.

25. მე-5 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 31 მაისის № 370 დადგენილებისა „საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროში 1986 წლიდან ეკონომიკური ექსპერიმენტის განხორციელებასთან დაკავშირებით სამინისტროს სისტემის საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ სახალხო მეურნეობის საწარმოო-დარგების მუშაკთა პრემირების ნაწილში.

26. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 17 ოქტომბრის № 657 დადგენილება „საქართველოს სსრ რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობის ამ სამინისტროების (უწყებების) მიერ მოსახლეობისათვის გაწეული ფასიანი მომსახურების გაფართოების ღონისძიებათა შესახებ, რომლებისთვისაც ამ მომსახურების გაწევა ძირითად საქმიანობას არ წარმოადგენს“.

27. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 17 დეკემბრის № 783 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 31 ოქტომბრის № 754 დადგენილების მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ“ სახალხო მეურნეობის საწარმოო დარგების მუშაკთა პრემიების ოდენობის გაცემის წესისა და ვადების ნაწილში.

28. მე-3 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 26 მარტის № 139 დადგენილებისა „საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს გაერთიანებათა (საწარმოთა) და ორგანიზაციათა მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებზე გადაყვანის შესახებ“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 20 მარტის № 160 დადგენილების მე-16 პუნქტის მეექვსე აბზაცის მოქმედების გავრცელების ნაწილში.

16 გუდაურის სამთო-გამაჯანსაღებელი კომპლექსის დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ

„გუდაურის სამთო-გამაჯანსაღებელი კომპლექსის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 8 დეკემბრის № 614 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს დროებითი დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოს გუდაურის სამთო-გამაჯანსაღებლი კომპლექსის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ზ. ჩხეიძე**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1988 წ. 5 თებერვალი, № 34

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1988 წლის 5 თებერვლის № 34 დადგენილებით

დროებითი დებულება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოს გუდაურის სამთო-გამაჯანსაღებელი კომპლექსის შესახებ

1. გუდაურის სამთო-გამაჯანსაღებელი კომპლექსი (შემდგომ კომპლექსად წოდებული) წარმოადგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოს „საქკურორტის“ სტრუქტურულ ერთეულს, რომელშიც შედიან სასტუმროები, საზოგადოებრივი კვების ობიექტები, მომსახურე პერსონალის საცხოვრებელი დაბა, ავტოსატრანსპორტო საწარმო და დამხმარე მეურნეობანი, არის იურიდიული პირი, სარგებლობს თავის საქმიანობასთან დაკავშირებული უფლებებით, ასრულებს შესაბამის მოვალეობებს და აქვს დამოუკიდებელი ბალანსი.

2. კომპლექსის შემადგენლობაში შეიძლება შეყვანილ იქნენ სამშენებლო, საყოფაცხოვრებო, სავაჭრო, საგარეო ვაჭრობისა და სხვა საწარმოები, დაწესებულებანი და ორგანიზაციები, აგრეთვე სასწავლებლები, მათ შორის საშუალო სპეციალური სასწავლებლები.

3. კომპლექსის შეთანხმებული და ეფექტიანი მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით მის ოპერატიულ დაქვემდებარებაში გადაცემულია მოცემულ ტერიტორიაზე განლაგებული საქსახსპეცტრანსის საბაგირო-სატრანსპორტო საწარმო „ბაგირგზაექსპლუატაციის“ გუდაურის განყოფილება, საქმთავარენერგოს საექსპლუატაციო უბანი, ცეკავშირის ობიექტები, ყაზბეგის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის კომუნალურ საწარმოთა კომბინატის ბალანსზე არსებული წყალსადენი ნაგებობანი, საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 27 საგზაო-საექსპლუატაციო უბნის საგზაო-სარემონტო პუნქტი, აგრეთვე დაბა ფასანაურში განლაგებული № 26 საგზაო-საექსპლუატაციო უბანი.

4. კომპლექსის მთავარი ამოცანები ის არის, რომ:

— შეუქმნას ყოფა-ცხოვრების, დასვენების, საკურორტო-გამაჯანსაღებელი მომსახურებისა დ სპორტული მეცადინეობის საჭირო პირობები როგორც საბჭოთა, ისევე უცხოელ დამსვენებლებს;

— უზრუნველყოს კომპლექსში შემავალი შრომითი კოლექტივების კეთილდღეობის ზრდა და სოციალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება;

— მიიზიდოს სავალუტო სახსრები მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად და საზღვარგარეთის ფირმებთან და პარტნიორებთან საფინანსო-სამეურნეო ურთიერთობის დასამყარებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. თავისი მთავარი ამოცანების განსახორციელებლად გაუფრთხილოს კომპლექსი უზრუნველყოფს:

— მომსახურების ეფექტიანობის ამაღლებას მეცნიერულად დასაბუთებული ორგანიზაციული კრიტერიუმების საფუძველზე, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დაჩქარებულ დანერგვას, რესურსდაზოგვას, მოგების გადიდებას;

— სოციალური სფეროს თანამედროვე მატერიალური ბაზის ფორმირებას, კომპლექსში შემავალ ქვედანაყოფთა კოლექტივების სოციალურ განვითარებას, აგრეთვე მაღალი შრომის ნაყოფიერების ხელშემწყობი პირობების შექმნას;

— საწარმოო სიმძლავრეთა რაციონალურად განლაგებასა და განვითარებას, გარემოს დაცვის ღონისძიებათა უზრუნველყოფას;

— მომსახურებისა და სამუშაოთა ასორტიმენტისა და ხარისხის აყვანას საერთაშორისო მიღწევათა დონემდე, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის გააქტიურებას საზღვარგარეთელ პარტნიორებთან კავშირის ურთიერთხელსაყრელი ფორმების და სავალუტო თვითანაზღაურების საფუძველზე.

6. კომპლექსი მოქმედებს ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის შესაბამისად. ხელმძღვანელობს რა ზემდგომი ორგანოების მიერ დაწესებული საკონტროლო ციფრებით, ხანგრძლივი ეკონომიკური ნორმატივებითა და ლიმიტებით, იგი დამოუკიდებლად შეიმუშავებს და ამტკიცებს ეკონომიკური და სოციალური განვითარების საკუთარ გეგმებს, დებს ხელშეკრულებებს.

7. კომპლექსის დებულებას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

8. კომპლექსის საქმიანობა ხორციელდება სოციალისტური კანონმდებლობის საფუძველზე მის შემადგენლობაში შემავალ საწარმოებში კანონიერების განსამტკიცებლად ყოველგვარი ზომების მიღებით.

9. კომპლექსი პასუხს არ აგებს „საქკურორტის“ სამმართველოს ვალდებულებათა მიხედვით.

10. სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ კანონის შესაბამისად კომპლექსი მოქმედებს სოციალისტური თვითმმართველობის პრინციპით განხორციელებული სრული სამეურნეო ანგარიშის, ხელმძღვანელობის დემოკრატიული ფორმებისა და ერთმმართველობის შეხამების პირობებში და უზრუნველყოფს კომპლექსში შემავალ ქვედანაყოფთა ერთიან ხელმძღვანელობას მათი უფლებებისა და დამოუკიდებლობის შეუბღალავად.

11. კომპლექსის მართვის უმაღლესი ორგანოა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან მასში შემავალ ოპერატიულ დაქვემდებარებაში არსებულ ქვედანაყოფთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები. საბჭოს სათავეში უდგას თავმჯდომარე, იგივე დირექტორი, რომელსაც ირჩევენ საბჭოს წევრები 5 წლის ვადით და ამტკიცებს ზემდგომი ორგანო.

12. საბჭოს გადაწყვეტილებანი სავალდებულოა კომპლექსის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა ორგანიზაციისათვის და ახორციელებს დირექტორი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც საბჭოს სხდომებს შორის პერიოდში ხელმძღვანელობს კომპლექსს ერთმმართველობის პრინციპით.

13. გუდაურის კომპლექსის საბჭო:

— უშუალოდ მონაწილეობს კომპლექსის განვითარების სტრატეგიის შემუშავებაში, საბჭოთა და უცხოელ დამსვენებელთა მომსახურების სრულყოფის ეფექტიანი გზების შერჩევაში, განსაზღვრავს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიმართულებასა და პერსპექტივებს ამ საქმეში;

— განიხილავს შრომითი კოლექტივების საერთო კრებებზე ასარჩევ საწარმოების ხელმძღვანელთა კანდიდატურებს და რეკომენდაციას უწევს მათ დადგენილი წესით დასამტკიცებლად;

— ამტკიცებს კომპლექსის მმართველობის აპარატის სტრუქტურასა და ხელფასის ფონდს და მისი შენახვის ხარჯთაღრიცხვას;

— განსაზღვრავს ცენტრალიზებული ფონდებისა და რეზერვების ხარჯვის მიმართულებებს მთლიანად კომპლექსის საწარმოო-სამეურნეო განვითარების ინტერესებისათვის;

— შეაქვს „საქკურორტის“ სამმართველოში წინადადებანი თავის შემადგენლობაში საწარმოთა და ორგანიზაციათა შექმნის, აგრეთვე მათი ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის შესახებ, ქმნის სახელშეკრულებო საფუძველზე ერთობლივ საწარმოებსა და ორგანიზაციებს;

— უფლება აქვს განიხილოს საკითხები და შეიტანოს წინადადებანი კომპლექსის დირექტორის ვადამდე გადარჩევის შესახებ;

— რეგულარულად აწვდის შრომითს კოლექტივებს ინფორმაციას კომპლექსის მუშაობის შესახებ.

14. კომპლექსის მმართველობის აპარატის ფუნქციები თვითდაფინანსებასა და თვითანაზღაურებაზე გადასვლასთან დაკავშირებით ეკისრება კომპლექსის ადმინისტრაციას, რომლის შენახვა ხორციელდება კომპლექსის ცენტრალიზებული ფონდებისა და რეზერვების ხარჯზე.

15. კომპლექსის დირექტორი და საბჭო ერთობლივად აგებენ პასუხს როგორც მთლიანად კომპლექსის, ისევე მის შემადგენლობაში შემავალი ცალკეული საწარმოებისა და ორგანიზაციების საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის შედეგებისათვის.

16. დირექტორი წარმოადგენს კომპლექსის ინტერესებს ყველა დონეზე — მოქმედი კანონმდებლობისა და ამ დროებითი დებულების შესაბამისად, განაგებს კომპლექსისათვის მიჩენილ ქონებას, დებს ხელშეკრულებებს, გასცემს მინდობილობებს (მათ შორის სხვისთვის გადაცემის უფლებით), ხსნის საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებს ბანკებში.

17. კომპლექსის დირექტორი:

— ანაწილებს მოვალეობებს თავის მოადგილეთა შორის, კოორდინაციას უწევს და წარმართავს მუშაობას, აორგანიზებს კომპლექსის მმართველობის აპარატის საქმიანობას;

— ამტკიცებს კომპლექსის სტრუქტურულ ქვედანაყოფთა დებულებებს, მის საშტატო განრიგს. უნიშნავს ხელმძღვანელებსა და სპეციალისტებს სარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოებს თანამდებობრივი სარგოების სქემის შესაბამისად ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა რიცხოვნობის ნორმებისა და თანაფარდობის, თანამდებობრივი სარგოების დანამატის ჩაუთვლელად, ახორციელებს აპარატის მუშაკთა პრემირებას.

18. კომპლექსში 2-3 წლის ვადით იქმნება შრომითი კოლექტივების წარმომადგენელთა საბჭო, რომელიც თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს. შრომითი კოლექტივების წარმომადგენელთა საბჭოს სხდომები ტარდება წელიწადში ორჯერ მაინც.

შრომითი კოლექტივების წარმომადგენელთა საბჭო განიხილავს დირექტორთა საბჭოს საქმიანობის შედეგებს, შეაქვს წინადადებანი და რეკომენდაციები მეურნეობის გაძღოლის ეფექტიანობის ამაღლების შესახებ, უზრუნველყოფს კომპლექსის მუშაობის ამსახველი ინფორმაციის გაცნობას საწარმოთა და ორგანიზაციათა შრომითი კოლექტივებისათვის, აყენებს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრასთან დაკავშირებულ საკითხებს დირექტორთა საბჭოს წინაშე.

19. დაგეგმვის დარგში კომპლექსი:

— შეიმუშავებს კომპლექსის განვითარების პროგნოზებსა და პერსპექტიულ გეგმებს;

— შეიმუშავებს საკონტროლო ციფრებს, უთანხმებს მათ „საქკუროორტის“ სამმართველოს და უგზავნის საწარმოებსა და ორგანიზაციებს, არის შემკვეთი და ანაწილებს სახელმწიფო შეკვეთებს (მათ შორის საკონკურსო საფუძველზე);

— უმტკიცებს გრძელვადიან ეკონომიკურ ნორმატივებს (მათ შორის ცენტრალიზებულ ფონდებში ანარიცხების ნორმატივებს და მათი ხარჯვის მიმართულებისა და გაერთიანების რეზერვებს) საწარმოებს, გაერთიანებებსა და ორგანიზაციებს; აწესებს კომპლექსის ცენტრალიზებული ფონდის სახსრების ხარჯზე კაპიტალურ დაბანდებათა (სახელმწიფო გეგმაში შეტანილი საწარმოებისა და ობიექტების ნუსხის შესაბამისად) და საიჯარო სამუშაოთა ლიმიტებს;

— თავის შემადგენლობაში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა მონაწილეობით შეიმუშავებს და ამტკიცებს კომპლექსის ხუთწლიან (წლების მიხედვით განაწილებით) გეგმებს, აგრეთვე აზუსტებს მისი ეკონომიკური და სოციალური განვითარების წლიურ გეგმებს.

20. კაპიტალური მშენებლობის დარგში კომპლექსი თავის შემადგენლობაში შემავალ საწარმოებთან და ორგანიზაციებთან ერთად აკონტროლებს ობიექტების დროულად ამოქმედებას და საპროექტო სიმძლავრეთა დაწესებულ ვადაში ათვისებას; განავითარებს სამეურნეო წესით მშენებლობის წარმოებას.

21. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დარგში კომპლექსი განსაზღვრავს ცენტრალიზებული ფონდის სახსრების ოდენობას, რომლებიც ხმარდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის კონკრეტული თემების შემუშავებას, ანაწილებს შეკვეთებს და დებს ხელშეკრულებებს მათს შესასრულებლად.

22. ფინანსების, კრედიტისა და ფასების დარგში კომპლექსი:

— სრულყოფს თავის საფინანსო-ეკონომიკურ მუშაობას, ამასთანავე ხელმძღვანელობს სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპით;

— ახორციელებს ღონისძიებებს თავისი საფინანსო მდგომარეობის განსამტკიცებლად. დროებითი გეგმიანი ზარალიანობისას იგი ფინანსდება ცენტრალიზებული ფონდებისა და რეზერვების ხარჯზე დოტაციის ლიმიტის ფარგლებში, რომელიც წესდება ხუთწლიან გეგმაში პროგრესული შემცირებით;

— საფინანსო გეგმების ფორმირებისას უზრუნველყოფს ყოველგვარი საფინანსო და საკრედიტო რესურსების დაბალანსებას თავისი ეკონომიკური და სოციალური განვითარების მაჩვენებლებთან, აგრეთვე კომპლექსის სისტემაში შემავალ საწარმოთა მონაწილეობას;

— თავის შემადგენლობაში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა ანარიცხების ხარჯზე ქმნის ცენტრალიზებულ ფონდებსა და რეზერვებს, დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად წარმართავს მათს სახსრებს სანატორიულ-საკურორტო, მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალური დანიშნულების ღონისძიებათა განსახორციელებლად, უზრუნველყოფს ცენტრალიზებული სახელმწიფო საფინანსო სახსრების ეფექტიან გამოყენებას. ცენტრალიზებული ფონდებისა და რეზერვების გამოუყენებელი ნაშთები გადადის მომდევნო წელს და არ ჩამოერთმევა;

— ხელს უწყობს თავის სისტემაში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის გამოყოფილი ბანკის კრედიტების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებას და კონტროლს უწევს მათ მიერ დაკრედიტების ძირითადი პრინციპების შესრულებას;

— ახორციელებს მუშაობას მომსახურების ფასწარმოქმნის დარგში და აკონტროლებს ფასების სახელმწიფო დისციპლინის დაცვას.

— კონტროლს უწევს საქვეუწყებო საწარმოთა საწარმოო და საფინანსო საქმიანობას, მათ მიერ საფინანსო და საანგარიშსწორებო დისციპლინის დაცვას სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპების შესაბამისად;

— უზრუნველყოფს სოციალისტური საკუთრებისა და ეკონომიის რეჟიმის დაცვას.

23. კომპლექსში:

— მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა ხორციელდება დამოუკიდებლად, როგორც რესპუბლიკაში, ისევე მის ფარგლებს გარეთ პირდაპირი სამეურნეო კავშირურთიერთობისა და საბითუმო ვაჭრობის საფუძველზე;

— ზემდგომ ორგანოსთან და ტერიტორიულ ორგანოებთან, საქართველოს სსრ სახმომარაგებასთან მჭიდრო ურთიერთმოქმედებით იქმნება მისი მატერიალური რესურსებით მყარი უზრუნველყოფისათვის საჭირო პირობები;

— მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას რესურსებით ლიმიტებისა და ფონდების მიხედვით ახორციელებს ცენტრალიზებულად „საქკურორტის“ სამმართველო;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მიმდინარეობს მასალებისა და სათბობის უმკაცრესი ეკონომიის საძუშაოები.

კომპლექსს უფლება აქვს:

— განახორციელოს საბითუმო ვაჭრობა;

— შეიძინოს, გაყიდოს, გაცვალოს, იჯარით გასცეს, დროებით სარგებლობაში გადასცეს უსასყიდლოდ ან სესხად როგორც თავის, ისევე სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს შენობა-ნაგებობანი, მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებანი, ინვენტარი და სხვა მატერიალური ფასეულობანი, აგრეთვე ჩამოსწეროს ბალანსიდან მოქმედი წესის თანახმად, თუ ისინი გაცვდა, მორალურად დაძველდა და რეალიზაცია აღარ შეიძლება;

— ორგანიზაცია გაუწიოს მომსახურებისა და სამუშაოთა გასაღებას მომხმარებელთა პირდაპირი შეკვეთების მიხედვით.

24. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის დარგში კომპლექსი აორგანიზებს საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობას სავალუტო თვითანაზღაურების პრინციპიდან გამომდინარე:

— ახორციელებს ურთიერთხელსაყრელი პირობებით საზღვარგარეთის ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური და სავალუტო-საფინანსო კავშირურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის ღონისძიებებს;

— „საქკურორტის“ სამმართველოს ნებართვით უშუალოდ ახორციელებს საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციებს (კაპიტალისტური და განვითარებადი ქვეყნების ბაზრების ჩათვლით) და საჭიროების შემთხვევაში ქმნის ამ მიზნით სამეურნეოანგარიშიან საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციას;

— იღებს ზომებს საერთაშორისო კოოპერაციის ფართოდ განვითარებისათვის, „საქკურორტის“ სამმართველოს ნებართვით ქმნის ერთობლივ საწარმოებს, საერთაშორისო გაერთიანებებსა და ორგანიზაციებს და აქტიურად მონაწილეობს მათს საქმიანობაში;

— საბჭოს თანხმობით კომპლექსს შეუძლია გააერთიანოს სავალუტო ანარიცხების ფონდების სახსრები, ამასთან შექმნას კომპლექსის ცენტრალიზებული ფონდი მანქანების, მოწყობილობის, მასალებისა და სხვა საქონლის ერთობლივი შესყიდვის განსახორციელებლად ტექნიკური კვლავაღჭურვისა და რეკონსტრუქციისათვის, მომსახურების სფეროსა და სხვა სამუშაოთა გასაფართოებლად, გადასცეს ამ ფონდის სახსრები ურთიერთხელსაყრელი პირობებით სხვა საწარმოებს, გაერთიანებებს, ორგანიზაციებს, სამინისტროებს, უწყებებსა და ბანკებს.

25. შრომისა და სოციალური განვითარების დარგში კომპლექსი:

— ახორციელებს პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად მუშაობას თავის შემადგენლობაში შემავალ ქვედანაყოფთა ხელმძღვანელი კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდისათვის, ორგანიზაციას უწევს კადრების მომზადებისა და გადამზადების ერთიან სისტემას, ქმნის სასწავლო კურსებსა და ცენტრებს, ამასთან უზრუნველყოფს პროფესიული სწავლების შერწყმა-შეხამებას ეკონომიკურ სწავლებასთან;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ახორციელებს ღონისძიებებს ხელმძღვანელი კადრების რეზერვის შექმნელად, ატარებს მათს ატესტაციას;

— აკონტროლებს შრომის ანაზღაურებისა და კომპლექსის პრემირების მოქმედი პირობების გამოყენების სისწორეს;

— უნიშნავს მოქმედი წესის შესაბამისად ხელმძღვანელ მუშაკებს დანამატებს მაღალი შრომითი მიღწევებისათვის ან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სამუშაოს შესრულებისათვის კომპლექსის ხელფასის საერთო ფონდიდან;

— ამტკიცებს შესაბამის პროფკავშირულ ორგანიზაციასთან შეთანხმებით დებულებას ხელმძღვანელ მუშაკთა პრემირების შესახებ;

— ქმნის საჭიროების კვალობაზე დამხმარე მეურნეობებს, საწარმოებს კომპლექსის მუშაკთათვის ფასიანი მომსახურების გასაწევად;

— ხელს უწყობს კოოპერატივების, მოქალაქეთა ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის განვითარებას.

26. აღრიცხვის, ანგარიშგებისა და კონტროლის დარგში კომპლექსი:

— კონტროლს უწევს თავის შემადგენლობაში შემავალ საწარმოთა საწარმოო და სამეურნეო საქმიანობას, უზრუნველყოფს მათი საქმიანობის ანალიზსა და რევიზიას, სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა დაცვას;

— იღებს დადგენილი წესით საწარმოებისაგან სტატისტიკურ და საბუღალტრო ანგარიშგებას, აკონტროლებს აღრიცხვა-ანგარიშგების სისწორესა და უტყუარობას;

— ახორციელებს ღონისძიებებს აღრიცხვის პროგრესული მეთოდების დანერგვისათვის თანამედროვე ტექნიკის გამოყენებით, ამაღლებს იურიდიული, საბუღალტრო და სხვა ფუნქციონალური სამსახურების როლსა და პასუხისმგებლობას კანონიერების დაცვისათვის, დროული და ხარისხიანი აღრიცხვა-ანგარიშგებისათვის.

კონტროლის ხაზით და მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად კომპლექსის საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობს შრომითი კოლექტივების წარმომადგენელთა საბჭო.

27. ბუნების დაცვის დარგში კომპლექსი:

— შეიმუშავებს და ახორციელებს ბუნებრივი რესურსების კომპლექსური გამოყენებისა და გარემოს დაცვის ღონისძიებებს;

— აკონტროლებს თავის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოთა და დაწესებულებათა (მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა) საქმიანობას ბუნების დაცვის წესების შესრულების დარგში, რაც გამორიცხავს გარემოს გაჭუჭყიანებას, და დარღვევათა გამოვლენისას წარუდგენს „საქკურორტის“ სამმართველოს წინადადებებს მათი ლიკვიდაციის შესახებ.

კომპლექსი იქმნება უშუალოდ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით და ეწოდება „გუდაურის სამთო-გამაჯანსაღებელი კომპლექსი“, აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი დასახელება.

კომპლექსის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

17 აგროსამრეწველო კომბინატ „გარდაბნის“ შექმნის შესახებ

თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიის საფუძველზე სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ნედლეულის წარმოების, დამზადების, გადამუშავების, შენახვისა და რეალიზაციის ოპტიმალური დაგეგმვის, სპეციალიზაციისა და ინტეგრაციის გაღრმავების, მეურნეობის გაძღოლის ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფის გზით ქალაქ თბილისის მოსახლეობის კვების პროდუქტებით მომარაგების ძირეული გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს კპ გარდაბნის რაიკომის, გარდაბნის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის, შესაბამისი შრომითი კოლექტივების წინადადება, შეთანხმებული სსრ კავშირის სახაგრომრეწვთან, საქართველოს სსრ სახაგრომრეწვთან, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ პურპროდუქტების სამინისტროსთან, ცეკავშირის გამგეობასთან, სსრ კავშირის აგრომრეწვბანკის საქართველოს რესპუბლიკურ ბანკთან, აგროსამრეწველო კომბინატ „გარდაბნის“ შექმნის შესახებ.

დაწესდეს, რომ ახალშექმნილი აგროსამრეწველო კომბინატი „გარდაბანი“ თავის საქმიანობაში ექვემდებარება საქართველოს სსრ სახაგრომრეწვს და ექსპერიმენტის სახით შედის თბილისის აგროსამრეწველო კომიტეტის შემადგენლობაში.

2. დამტკიცდეს აგროსამრეწველო კომბინატ „გარდაბნის“ შემადგენლობაში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა თანდართული ნუსხა.

სახელმწიფო საწარმოთა და ორგანიზაციათა გადაცემა აგროსამრეწველო კომბინატ „გარდაბნის“ შემადგენლობაში მოხდეს 1988 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

სამინისტროებმა და უწყებებმა, რომელთა საწარმოები გადაეცემიან აგროსამრეწველო კომბინატის შემადგენლობაში, მიმდინარე წლის 1 მარტამდე უზრუნველყონ დადგენილი წესით კომბინატისათვის იმ მატერიალური რესურსების გაყოფის უწყისების გადაცემა, რომელთა გამოყოფა გათვალისწინებულია 1988 წელს.

3. აგროსამრეწველო კომბინატ „გარდაბნის“ ძირითად ამოცანად ჩაითვალოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვით და სოციალური პირობების გაუმჯობესებით, სამეურნეო ანგარიშის, თვითდაფინანსებისა და თვითანაზღაურების საფუძველზე პროდუქციის წარმოების, დამზადების, გადამუშავების, შენახვისა და რეალიზაციის განხორციელებით სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და მაღალხარისხოვანი სასურსათო საქონლის წარმოების ყოველმხრივი გადიდების გზით ქალაქ თბილისის მოსახლეობის კვების პროდუქტებით მომარაგების ძირეული გაუმჯობესება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომბინატმა თავის საქმიანობაში იხელმძღვანელოს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით, სსრ კავშირის კანონით სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ, აგრეთვე თავისი დებულებით, რომელიც შემუშავებულია სსრ კავშირის სახაგრომრეწვის მიერ დამტკიცებული აგროსამრეწველო კომბინატების ტიპობრივი დებულების საფუძველზე.

4. დაწესდეს, რომ აგროსამრეწველო კომბინატი „გარდაბანი" ასრულებს დამამზადებელი ორგანიზაციის ფუნქციებს საბჭოთა მეურნეობებთან და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებთან საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა საფუძველზე სოფლის მეურნეობის პროდუქტების, აგრეთვე მოსახლეობისაგან სოფლის მეურნეობის ნამეტი პროდუქციის შესასყიდად.

5. საქართველოს სსრ სახაგრომრეწვმა დაგეგმოს და დააფინანსოს აგროსამრეწველო კომბინატ „გარდაბნის" საქმიანობა როგორც ერთი მთლიანი ცალკე სტრიქონად.

აღნიშნული კომბინატის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხუთწლიან და წლიურ გეგმებში გაითვალისწინოს საერთო-საკავშირო და რესპუბლიკურ ფონდებში პროდუქციის მიწოდების მოცულობა, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მოცულობა, ხელფასის საერთო ფონდი (ნორმატივი), ბიუჯეტში გადასახდელთა ნორმატივი (ბრუნვის გადასახადის ჩათვლით) და ბიუჯეტიდან ასიგნებათა მოცულობა.

6. საქართველოს სსრ სახაგრომრეწვმა, საქართველოს სსრ პურპროდუქტების სამინისტრომ, ცეკავშირის გამგეობამ განსაზღვრონ ახალშექმნილ აგროსამრეწველო კომბინატ „გარდაბნისათვის" ბიუჯეტში გადასახდელთა ოდენობა აგროსამრეწველო კომბინატ „ყუბანისათვის" დაწესებული პირობების ანალოგიურად და ორი კვირის ვადაში წარუდგინონ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ შეიტანოს შესაბამისი ცვლილებანი ზემოაღნიშნული სამინისტროსა და უწყებების ბიუჯეტის გადასახდელთა გეგმებში.

7. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სახაგრომრეწვმა, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ, საქართველოს სსრ პურპროდუქტების სამინისტრომ, ცეკავშირის გამგეობამ, საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტმა შეიტანონ აგროსამრეწველო კომბინატ „გარდაბნის" შექმნასთან დაკავშირებით შესაბამისი ცვლილებანი ხუთწლიან გეგმებსა და 1988 წლის გეგმებში.

8. საქართველოს სსრ სახაგრომრეწვმა, გარდაბნის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომმა:

— განახორციელონ 1988 წელს აგროსამრეწველო კომბინატ „გარდაბნის" ორგანიზაციისათვის საჭირო ღონისძიებანი;

— შეიმუშაონ და წარუდგინონ სსრ კავშირის სახაგრომრეწვს ზემოაღნიშნული კომბინატის წინაშე დასახული ამოცანების შესრულებისათვის საჭირო მოქმედი ობიექტების რეკონსტრუქციისა და ახალი საწარმოო და სხვა ობიექტების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებანი მათი განვითარების პერსპექტივების გათვალისწინებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ საქართველოს სსრ სახაგრომრეწვამ შეიმუშავა აგროსამრეწველო კომბინატ „გარდაბნის“ დებულება სსრ კავშირის სახაგრომრეწვის მიერ დამტკიცებული აგროსამრეწველო კომბინატის ტიპობრივი დებულების შესაბამისად.

10. აგროსამრეწველო კომბინატ „გარდაბნის“ შექმნასთან დაკავშირებით გაუქმდეს გარდაბნის რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანება.

11. საქართველოს სსრ სახაგრომრეწვმა საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტთან, სსრ კავშირის აგრომრეწვბანკის საქართველოს რესპუბლიკურ ბანკთან და საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტთან ერთად შეისწავლოს აგროსამრეწველო კომბინატ „გარდაბნის“ ფუნქციონირების მექანიზმი და საჭიროების კვალობაზე შეიტანოს შესაბამისი ცვლილებანი მისი საქმიანობის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებში, ხოლო საკითხებზე, რომლებიც მთავრობის გადაწყვეტილებას მოითხოვენ, დადგენილი წესით წარმოუდგინოს წინადადებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ზ. ჩხეიძე**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1988 წ. 5 თებერვალი, № 39

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1988 წლის 5 თებერვლის № 39 დადგენილებით

ნუსხა

საწარმოებისა და ორგანიზაციებისა, რომლებიც შედიან აგროსამრეწველო კომბინატ „გარდაბნის“ შემადგენლობაში

საქართველოს სსრ სახაგრომრეწვი

ნორიოს მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა
გამარჯვების მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა
ახალი სამგორის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა
გაჩიანის მრეძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა
მარტყოფის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა
მარტყოფის მებოსტნეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობა
სართიჭალის მებოსტნეობა-მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა
რუისბოლოს მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა
კრწანისის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა
გარდაბნის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა
გარდაბნის კიროვის სახელობის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა
ვარკეთილის მეხილეობა-მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა
ლილოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა
სამგორის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა
კაპანახჩის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა
აღთაღლის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა
ყარაჯალარის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა
სართიჭალის მეცხოველეობის კომპლექსი
ნაგების მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა
კრწანისის მეღორეობის კომპლექსი
დიდების მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა
ჯანდარის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა
კუმისის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა
ჯანდარის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სასუქებელი საბჭოთა მეურნეობა
კუმისის მებოცვრეობის საბჭოთა მეურნეობა
მარტყოფის მებოცვრეობის საბჭოთა მეურნეობა
თელეთის ექსპერიმენტული საბჭოთა მეურნეობა
სამგორის მეფრინველეობის ფაბრიკა
ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკა
გამარჯვების მეფრინველეობის ფაბრიკა
თბილისის მეფრინველეობის ფაბრიკა
თელეთის მეიხვეობის ფაბრიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფდამზადების“ რაიონული გაერთიანება (სახელმწიფო სექტორი)

საშენ მასალათა საკოლმეურნეობათაშორისო კომბინატი

რესპუბლიკური გაერთიანება „საქაგრომშენის“ № 13 ტრესტის სამრეწველო-საწარმოო კომბინატი

რესპუბლიკური გაერთიანება „საქაგრომშენის“ № 15 ტრესტის სამრეწველო-საწარმოო კომბინატი

რესპუბლიკური გაერთიანება „საქაგრომშენის“ № 1 ტრესტის № 1 მოძრავი მექანიზებული კოლონა

სპეციალიზებული სარემონტო-სამშენებლო სამმართველო „აგრომრეწვი“

№ 1 ტრესტის მექანიზაციისა და ტრანსპორტის სამმართველო

№ 1 ტრესტის № 37 მოძრავი მექანიზებული კოლონა

№ 11 ტრესტის № 42 მოძრავი მექანიზებული კოლონა

კრწანისის პლასტმასების ქარხანა

მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტისა და ექსპლუატაციის საწარმო

რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფქიმიის“ რაიონული გაერთიანება

ზემო სამგორის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის საწარმოო სამმართველო

გარდაბნის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის საწარმოო სამმართველო

თბილისის მექანიკური რწყვის საწარმოო სამმართველო

ხელოვნური რწყვის სამეურნეობათაშორისო გაერთიანება

№ 2673 ავტოკოლონა

ვეტლაბორატორია

ცხოველთა დაავადებებთან ბრძოლის სადგური

მცენარეთა დაცვის სადგური

სასოფლო საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამეურნეობათაშორისო გაერთიანება

გადამმუშავებელი საწარმოები

გარდაბნის საკონსერვო ქარხანა

რუისბოლოს საკონსერვო ქარხანა

სართიჭალის საკონსერვო ქარხანა

ვარკეთილის საკონსერვო ქარხანა

ლილოს ექსპერიმენტული საკონსერვო ქარხანა

ვარკეთილის ღვინის ქარხანა

გარდაბნის ყველ-კარაქის ქარხანა

გარდაბნის ძვალ-ხორცის ფხვნილის ქარხანა

საქართველოს სსრ პურპროდუქტების სამინისტრო

გამარჯვების კომბინირებული საკვების ქარხანა

ცეკავშირი

რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფდამზადება“ (მოსახლეობაში)

18 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 31 ოქტომბრის № 1230 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„კაპიტალური მშენებლობის საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ჩათვლისა და შეცვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 31 ოქტომბრის № 1230 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 13 აპრილის № 268 დადგენილება „მშენებლობაში საპროექტო საქმის გაუმჯობესების შესახებ“, მე-10 პუნქტის მესამე აბზაცის გარდა;

41-ე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მეორე-მეოთხე აბზაცები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 23 ნოემბრის № 800 დადგენილებისა „საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1982 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ზ. ჩხეიძე**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1988 წ. 5 თებერვალი, № 45

19 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 25 აპრილის № 302 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 21 აგვისტოს № 1015 დადგენილებისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 1 დეკემბრის № 746 დადგენილების შესასრულებლად დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 25 აპრილის № 302 დადგენილებას შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. დამტკიცდეს საქართველოს სსრ არქიტექტორთა შემოქმედებითი სახელოსნოების მოსაწყობად არასაცხოვრებელი სადგომების გამოყოფისა და მათი ექსპლუატაციის თანდართული წესები“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1988 წ. 9 თებერვალი, № 50

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1988 წლის 9 თებერვლის № 50 დადგენილებით

წ ე ს ე ბ ი

საქართველოს სსრ არქიტექტორთა შემოქმედებითი სახელოსნოების მოსაწყობად არასაცხოვრებელი სადგომების გამოყოფისა და მათი ექსპლუატაციისა

1. შემოქმედებითი სახელოსნოების მოსაწყობად არასაცხოვრებელი სადგომები გამოეყოფათ სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირის წევრებს:

ა) რომლებსაც აქვთ არანაკლებ 5 წლის სტაჟი და ეწევიან წარმატებით საქმიანობას საქართველოს არქიტექტორთა კავშირში ან დადებითად გამოიჩინეს თავი შემოქმედებითი თვალსაზრისით, მიღებული აქვთ წოდებანი, მთავრობის ჯილდოები, სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირის, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის ჯილდოები და საერთაშორისო პრემიები;

ბ) რომლებიც ეწევიან აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობას საქართველოს არქიტექტორთა კავშირში — მონაწილეობენ მუდმივი კომისიების მუშაობაში, გამოფენების, კონკურსების, დათვალიერებებისა და სხვა ღონისძიებათა ორგანიზაციაში;

გ) წარმატებით ეწევიან თეორიულ, პედაგოგიურ და შემოქმედებითს მუშაობას არქიტექტურის დარგში.

შემოქმედებითი სახელოსნოების მოსაწყობად არასაცხოვრებელი სადგომები არქიტექტორებს გამოეყოფათ სამუშაო ადგილიდან მიცემული რეკომენდაციებისა და საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის წარდგინებათა საფუძველზე სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასკომების გადაწყვეტილებით, რომლებიც ხელმძღვანელობენ ამ წესებით.

2. არქიტექტორთა შემოქმედებითი სახელოსნოების ფონდს ქმნიან სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასკომები საქართველოს არქიტექტორთა კავშირისათვის შეტყობინებით:

ა) ახალდაპროექტებულ საცხოვრებელ სახლებში აღმასკომების მთავარ არქიტექტორთა სამსახურების შეხედულებისამებრ (შემოქმედებითი სახელოსნოების განლაგების შესაძლებლობა აღნიშნული უნდა იყოს არქიტექტურულ-საგეგმარებელ დავალებაში და აისახოს აღმასკომის გადაწყვეტილებაში მშენებლობისათვის ნაკვეთის გამოყოფისას);

ბ) ქალაქის ჩამოყალიბებულ ნაწილებში არსებული საცხოვრებელი სახლების არასაცხოვრებელ (ნახევარსარდაფის, სხვენის) საგომებში:

გ) მშენებარე და აშენებულ კოოპერაციულ საცხოვრებელ სახლებში (კოოპერაციული შემოქმედებითი სახელოსნოები);

დ) საუწყებო საცხოვრებელ სახლებში შემკვეთის თანხმობით.

3. შემოქმედებითი სახელოსნოების მოსაწყობად არასაცხოვრებელი სადგომების გამოყოფისა და მათი ექსპლუატაციისას უნდა იხელმძღვანელონ შემდეგი წესებით:

ა) შემოქმედებითი სახელოსნოები გამოეყოფათ არქიტექტორებს იჯარით მთელი მათი შემოქმედებითი საქმიანობის პერიოდისათვის, ამასთან გაფორმდება სპეციალური შეთანხმება დამქირავებელსა და საქართველოს არქიტექტორთა კავშირს შორის;

ბ) შემოქმედებითი სახელოსნოების მოვლა ეკისრებათ სახელოსნოთა დამქირავებლებს, რომელთაც მიიღეს ისინი იჯარით;

გ) შემოქმედებითი სახელოსნოების სადგომთა საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვრება მოქმედი ტარიფებისა და წესების თანახმად და მტკიცდება ამ სახელოსნოების გამოყოფის თაობაზე შეთანხმების გაფორმებისას;

დ) განთავისუფლებული შემოქმედებითი სახელოსნოები გადაეცემათ სხვა არქიტექტორებს საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის წარდგინებით;

ე) კოოპერაციული შემოქმედებითი სახელოსნოს გარდაცვლილი მფლობელის პაი გადადის მის მემკვიდრეებზე კანონით დადგენილი წესით.

კოოპერაციული შემოქმედებითი სახელოსნო შეიძლება გამოეყოს დადგენილი წესით მისი გარდაცვლილი მფლობელის ოჯახის იმ წევრს, რომელიც არის სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირის წევრი, არქიტექტორი ან არქიტექტურის სპეციალობის სტუდენტი;

ვ) შემოქმედებითი სახელოსნოს ახალი დამქირავებლისათვის გადაცემისას მის კეთილმოსაწყობად წინანდელი დამქირავებლის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურების საკითხს საქართველოს არქიტექტორთა კავშირი არ განიხილავს და იგი წყდება საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 289 მუხლის შესაბამისად;

ზ) შემოქმედებითი სახელოსნოს გამოყოფის შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული პირობებისა და ამ წესების დაუცველობის შემთხვევაში საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმს უფლება აქვს გააუქმოს ზემოაღნიშნული შეთანხმება და გაუგზავნოს სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომს წარდგინება სახელოსნოს ახალი დამქირავებლისათვის გადაცემის შესახებ.

20 საქართველოს სსრ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციის დებულებაში და მათი რეგისტრაციის, აღრიცხვისა და ტექნიკური ზედამხედველობის წესებში ცვლილებათა შეტანის შესახებ

მოქალაქეთა კუთვნილი ზომამცირე გემების რეგისტრაციის, აღრიცხვისა და ტექნიკური ზედამხედველობის მოწესრიგების მიზნით და „მოკავშირე რესპუბლიკის ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციის ტიპობრივ დებულებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 1 დეკემბრის № 1361 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 25 იანვრის № 43 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს სსრ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციის დებულების მე-2 პუნქტში, აგრეთვე საქართველოს სსრ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციის სამეთვალყურეო გემების, მათი სადგომი ბაზების (ნაგებობების) რეგისტრაციის, აღრიცხვისა და ტექნიკური ზედამხედველობის და ამ გემების მართვის უფლებაზე გემთმძღოლთა ატესტაციის წესების მე-2 პუნქტის მესამე აბზაცში სიტყვები: „0,13 სარეგისტრო ტონაზე მეტი მთლიანი ტევადობის“ შეიცვალოს სიტყვებით: „(100 და მეტი კილოგრამი ტვირთამწეობის ნიჩბიანი ნავების, 150 და მეტი კილოგრამი ტვირთამწეობის ბაიდარების და 225 და მეტი კილოგრამი ტვირთამწეობის გასაბერი ნავების)“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1988 წ. 10 თებერვალი, № 53

21 **სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 26 ოქტომბრის № 1202 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლისა და შეცვლის შესახებ**

„მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, კაპიტალური მშენებლობის, აღრიცხვისა და ანგარიშგების საკითხებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლისა და შეცვლის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 26 ოქტომბრის № 1202 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 8 იანვრის № 25 დადგენილება „გეგმის გადამეტებით გამომუშავებული და დამზადებული პროდუქციის გამოყენების წესის შესახებ“;

— მე-10 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მესამე აბზაცი (პირველ რიგში მიწოდების ნაწილში) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 3 ივნისის № 393 დადგენილებისა „1976-1980 წლების მანძილზე საქართველოს სს რესპუბლიკაში მინერალური სასუქების მრეწველობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 13 იანვრის № 17 დადგენილებაში „საქართველოს სს რესპუბლიკაში პროექტების დამტკიცებისა და ექსპერტიზის წესის შესახებ“:

— 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის პირველი და მეორე აბზაცები და მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 30 მარტის № 312 დადგენილებით დაწესდა, საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა მშენებლობის პროექტებს (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებებით დადგენილია სხვა წესი) დაამტკიცებენ:

მშენებლობების მიხედვით, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება სრული განვითარებისათვის შეადგენს 4 მილიონ მანეთსა და მეტს (მათ შორის ახორციელებენ სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადაყვანილი საწარმოები, გაერთიანებანი და ორგანიზაციები სახელმწიფო ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე) — სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები (მათს სისტემაში შემავალი ყველა მშენებლობისათვის), აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები“;

„2. დაწესდეს, რომ იმ საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა მშენებლობის პროექტებს (სამუშაო ნახაზებს), რომელთა ღირებულება სრული განვითარებისათვის 4 მილიონ მანეთზე ნაკლებია (მათ შორის ახორციელებენ სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადაყვანილი საწარმოები, გაერთიანებანი და ორგანიზაციები სახელმწიფო ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე) დაამტკიცებენ: მშენებლობების მიხედვით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება სრული განვითარებისათვის შეადგენს 0,5-დან 4 მილიონამდე მანეთს, — სამინისტროები, უწყებები, სახელმწიფო კომიტეტები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების თბილისისა და ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები, ხოლო 0,5 მილიონ მანეთზე ნაკლებს, — მათ მიერ დადგენილი წესით";

— მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტებში სიტყვები: „3 მილიონი მანეთი" შეიცვალოს სიტყვებით: „4 მილიონი მანეთი".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1988 წ. 23 თებერვალი, № 74

22 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 25 იანვრის № 43 დადგენილებაში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სსრ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექცია სამეურნეოანგარიშიანი ორგანიზაციაა და თვითონ უნდა უზრუნველყოს ყველა დანახარჯის დაფარვა საკუთარი შემოსავლით, მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს წინადადება, ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 25 იანვრის № 43 დადგენილების № 1 და № 2 დანართები და შეიცვალოს ისინი თანდართული № 1 და № 2 დანართებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1988 წ. 24 თებერვალი, № 79

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1988 წლის 24 თებერვლის № 79 დადგენილების დანართი № 1

ს ტ რ უ ქ ტ უ რ ა

საქართველოს სსრ ზღვამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციის მმართველობის მუშაკთა საშტატო რიცხოვნობისა

თანამდებობათა დასახელება	საშტატო ერთეულების რაოდენობა
სახელმწიფო ინსპექციის უფროსი	1
სახელმწიფო ინსპექციის უფროსის მოადგილე	1
მთავარი ბუღალტერი	1
უფროსი სახელმწიფო ინსპექტორი	1
საქმისმწარმოებელი-მემანქანე	1
დამლაგებელი	1
ს უ ლ	6

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ეროვნული № 1
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1988 წლის 24 თებერვლის № 79 დადგენილების დანართი № 2

ს ტ რ უ ქ ტ უ რ ა

ავტონომიური რესპუბლიკების, რაიონებისა და ქალაქების ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციების მუშაკთა საშტატო რიცხოვნობისა

ზონებისა და თანამდებობათა დასახელება	საშტატო ერთეულების რაოდენობა
აფხაზეთის ასსრ ზონა	
უფროსი სახელმწიფო ინსპექტორი	1
სახელმწიფო ინსპექტორი	1
ს უ ლ	2
აჭარის ასსრ ზონა	
უფროსი სახელმწიფო ინსპექტორი	1
ს უ ლ	1
თბილისის ზონა	
(თბილისის ზღვა, ლისის ტბა, კუს ტბა, მდ. მტკვარი) ქ. რუსთავის ჩათვლით	
უფროსი სახელმწიფო ინსპექტორი	1
ს უ ლ	1
ფოთის ზონა	
(ქ. ფოთი, სოფ. პატარა ფოთი, ყულევი, ქ. ხობი, სოფ. ანაკლია, ურეკი, მახარაძე)	
უფროსი სახელმწიფო ინსპექტორი	1
ს უ ლ	1
ქუთაისის ზონა	
(ქ. ქუთაისი, ვანი, ტყიბული, ლანჩხუთი)	
უფროსი სახელმწიფო ინსპექტორი	1
ს უ ლ	1

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზონებისა და თანამდებობათა დასახელება	საშტატო ერთეულების რაოდენობა
გარდაბნის ზონა	
(ქ. გარდაბანი, წალკა, ყვარელი, დმანისი) სახელმწიფო ინსპექტორი	1
ს უ ლ	1
მცხეთის ზონა	
(ქ. მცხეთა, დუშეთი, თიანეთი, ცხინვალი)	
სახელმწიფო ინსპექტორი	1
ს უ ლ	1
მთლიანად	8

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

23 გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯის № 2 ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლისათვის ი. ტ. ყოლბაიას სახელის მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს შუამდგომლობა და მიეკუთვნოს გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯის № 2 ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლას გამოჩენილი პედაგოგ-განმანათლებლისა და საზოგადო მოღვაწის ილია ტიმოთეს ძე ყოლბაიას სახელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ზ. ჩხეიძე**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1988 წ.25 თებერვალი, № 89

24 გულრიფშის რაიონის სოფელ ვარჩის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლისათვის ი. უ. შელიას სახელის მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს შუამდგომლობა და მიეკუთვნოს გულრიფშის რაიონის სოფელ ვარჩის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლას გამოჩენილი პედაგოგ-განმანათლებლისა და საზოგადო მოღვაწის იაკობ უტუტის ძე შელიას სახელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ზ. ჩხეიძე**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1988 წ. 25 თებერვალი, № 90

ინდექსი—76187
ეროვნული
ბიბლიოთეკა

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 1, 1988 წელი

გამომცემელი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/V-88 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/16.
საბეჭდი თაბახი 5,5, სააღრიცხვო თაბახი 5,5.

წლიური ხელმოწერის ფასი 3 მან.

შეკვეთა 548 ტირაჟი 1900

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართველოს სტამბა